ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

## პროკურორი გოგორელიანი: „ბავშვების მშობლები ცდილობდნენ, რომ მათი შვილებისთვის უფრო მეტი ფოტო გადაეღოთ“

ავსტრალიელ პოლ ლეხმანს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა


გვ.5

შაბათი – კვირა, 21 – 22 სექტემბერი, 2019 №224 (8178) ფასი: 60 თეთრი

# „გახარია უნდა წავიდეს“



პარლამენტთან საპროტესტო აქცია გაიმართა

გვ.2





## „ამერიკული გემის ფოთში არშემოშვება რუსეთისთვის კოჭის გაგორების პოლიტიკაა“


გვ.3

ზაალ უდუმაშვილი: „გადაწყვეტილება ღარიბაშვილსა და წულუკიანს არ მიუღიათ. ეს ივანიშვილის გადაწყვეტილებაა“


გვ.4

## ვახტანგ ძაბირაძე: „ქალაქი სერიოზულ ფიგურად ყალიბდება“

## ოკუპირებული აფხაზეთი აღიარების გაფართოებას აჯიკის დახმარებით აპირებს


გვ.4


გვ.4

## მამუკა ახვლედიანი: „ნუ გექნებათ სამართლიანობის იმედი!“

„არ არსებობს მექანიზმი, რითიც ამ ქვეყანაში თავს დაიცავ“


გვ.2

## მიხეილ სააკაშვილის ვაჟი, ედუარდ სააკაშვილი, პოლიტიკაში მოდის

სამართალი გვ.5

## თერჯოლაში 14 წლის მოზარდმა თავი მოიკლა

ახლობლები ამას „ლურჯ ვეშაპს“ უკავშირებენ



## ადვოკატი ველიჯანაშვილი: „მშობლებმა არ იცოდნენ, მათ შვილებს რა ფოტოებს უღებდნენ“



## პროკურორი ნანა ჯაყელი: „ლევან ჯიბღაშვილთან საპროცესო შეთანხმება ჯერ არ გაფორმებულა“






3 „პრეზიდენტმა იცოდა, რას აწერდა ხელს“



4 საქართველოს საპატრიარქო: „რუსეთის პატრიარქის ქმედება გაუგებარია და აღიქმება სეპარატიზმის წახალისებად“



6 რუსეთის პოლიციამ ბურიატელი შამანი დააპატიმრა

„პუტინი კრემლიდან უნდა გავაძევო“



7 შალვა სუთიაშვილი: „აღარ ვართ პატარა გუნდი“

საქართველო უელსთან სათამაშოდ ემზადება

ISSN 1987-9385

# „გახარია უნდა წავიდეს“

## პარლამენტთან საპროტესტო აქცია გაიმართა

— ჩვენი მოთხოვნა უცვლელია — პირები, რომლებიც ადამიანებზე ძალადობისთვის არ აგებენ პასუხს, სამარცხვინო ლაქად დარჩება ხელისუფლებას, ამიტომ გიორგი გახარია აუცილებლად უნდა წავიდეს.

ამის შესახებ იურისტმა გიორგი მშვენიერაძემ 20 სექტემბერს პარლამენტთან მიმდინარე საპროტესტო აქციაზე „სირცხვილია“ სიტყვით




გამოსვლისას განაცხადა.

მისი თქმით, 20 ივნისიდან 20 სექტემბრამდე პერიოდში ქვეყანაში ბევრი რამ მოხდა. ამ დროის განმავლობაში რისი კეთებაც ხელისუფლებამ დაიწყო, არის ყველაფრის ერთმანეთში აზელვა.

— აზელვა სიკეთისა და ბოროტების, წარმატებისა და წარუმატებლობის, ოკუპაციისა და არაოკუპაციის, თავისუფლების — აზელვა იმაში, რომ ჩვენი სწრაფვაა ევროპისაკენ და სინამდვილეში მიგვაქანებს რუსულ ბნელ წარსულში.

ეს ყველაფერი კლავს მომავლის იმედს, აჩენს გაურკვევლობას და ერთმანეთისადმი უნდობლობას, გვართმევს შესაძლებლობას, ერთმანეთს ხელი ჩავკიდოთ და ასე შევასრულებინოთ ჩვენი მოთხოვნები ხელისუფლებას.

არ უნდა დავკარგოთ ჩვენი ხმის სიძლიერე და ხელისუფლებას კიდევ ერთხელ უნდა გავაგონოთ, რომ ჩვენ ვითხოვდით მინისტრობიდან გიორგი გახარიას წასვლას, რომ ეს პასუხისმგებლობა ყოფილიყო და არა გახარიას წასვლას მინისტრობისგან იმისთვის, რომ ეს დაწინაურება ყოფილიყო, — განაცხადა მშვენიერაძემ.

აქციაზე საზოგადოებრივი მოძრაობა „ლელოს“ დამფუძნებელიც მივიდა.

მისი თქმით, აქ შეკრებილმა ახალგაზრდებმა მიახვედრეს, რომ თავისუფლებისთვის ბრძოლა ყოველდღიურია და მის გარეშე ბედნიერება არ არსებობს.

— რას ვეტყვი ამ არაჩვეულებრივ ახალგაზრდებს, რომლებმაც ჩვენ გამოგვაფხიზლეს ყველა, შემოჰკრეს ის ზარი, რომელსაც თავისუფლების ზარი ჰქვია — მე პირადად და ყველა ჩვენგანი კიდევ ერთხელ მივხვდით, რომ თავისუფლებისთვის ბრძოლა არის ყოველდღიური და ეს თუ არ გაგრძელდა, ჩვენი ქვეყანა ბედნიერი ვერ იქნება.

თავისუფლების გარეშე არ არსებობს ბედნიერება, არ არსებობს წარმატებული საქმე, ერთიანობა, ეს არის ყველაზე მთავარი ღირებულება და 20 ივნისი იყო ის წყალგამყოფი, რომელმაც მე მიმაღებინა გადაწყვეტილება, რომ გამოვსულიყავი და შევერთებოდი ამ არაჩვეულებრივ ხალხს, — განაცხადა მამუკა ხაზარაძემ.

აქციის ორგანიზატორებთან თანამშრომლობაზე დასმულ კითხვას მამუკა ხაზარაძემ ასე უპასუხა:

— თანამშრომლობას ყველასთან ვგეგმავ, ვისაც საქართველო უყვარს.



# პროკურატურამ სალომე ზურაბიშვილის მიერ შეწყალების საქმეზე გამოძიება დაიწყო

## ირმა ნადირაშვილი გამოკითხვაზე დაიბარეს

20 სექტემბერს გენერალურმა პროკურატურამ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის მიერ მკვლელობაში მსჯავრდებულების შეწყალების ფაქტებზე გამოძიება დაიწყო.



უწყების ინფორმაციით, გამოძიება დაწყებულია შეწყალების პროცესში სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო ბოროტად გამოყენების ფაქტზე.

— საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ დაიწყო გამოძიება მსჯავრდებულების: რამაზ დევაძის, ასლან ბეჟანიძის, ზურაბ ნადირაძის და სხვა პირთა შეწყალების პროცესში სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო ბოროტად გამოყენების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, — ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

ამავე დღეს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ განცხადება გაავრცელა.

— მივესალმებით გენერალური პროკურატურის გადაწყვეტილებას პრეზიდენტის მიერ მსჯავრდებულების შეწყალების ფაქტებზე გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით.

ისეთ დროს, როცა არ წყდება ინსინუაციების და მძიმე ცილისმწამებლური განცხადებების გავრცელება, ერთადერთი სწორი გზა პროკურატურის მიერ ფაქტების შესწავლა და შემდეგ სათანადო სამართლებრივი რეაგირების განხორციელებაა, — ნათქვამია განცხადებაში.



გამოძიების ფარგლებში გენერალურ პროკურატურაში გამოკითხვაზე დაბარებულია „ევროპული საქართველოს“ წევრი, ირმა ნადირაშვილი.

დეპუტატი საგამოძიებო უწყებაში ორშაბათს გამოცხადდება.

— შეწყალების პროცესში სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო ბოროტად გამოყენების ფაქტზე საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ გამოძიება დღეს სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ელი ნაწილით დაიწყო.

გამოძიების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ ინფორმაციას საზოგადოებას პროკურატურა პერიოდულად მიაწვდის, — აღნიშნულია პროკურატურის განცხადებაში.

პარტია „ევროპულმა საქართველომ“ გენერალურ პროკურატურას 19 სექტემბერს განცხადებით მიმართა და მოითხოვა, დაიწყოს გამოძიება პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის მიერ მკვლელობაში მსჯავრდებულების შეწყალების ფაქტებზე.

კერძოდ, პარტიის წევრის, ირმა ნადირაშვილის განცხადებით, საქართველოს საადვოკატო წრეებთან დაახლოებული პირისგან, წყაროს გაუთქმელობის პირობით მიიღეს ინფორმაცია, რომ სალომე ზურაბიშვილის პრეზიდენტობისას თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება ამა თუ იმ პირის შეწყალებას, დაინტერესებული ადამიანები უკავშირდებიან პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანს, დიმიტრი გაბუნიას და მასთან გადიან ფინანსურ საკითხებს, თუ რა ფასად შეიძლება ესა თუ ის პირი იყოს შეწყალებული.

# მამუკა მდინარაძე: „ზურაბიშვილის შეწყალებებში ლოგიკაც კი არ ჩანს“

— უმრავლესობის არაერთმა წევრმა გავაკეთეთ განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაცია უნდა გამოვიდეს და დეტალური განმარტებები გააკეთოს ამ შეწყალებასთან დაკავშირებით. მათ შორის, იმ ადამიანებმა, ვინც ეს საბუთები მოამზადა, ვინც ამ სიაზე იმუშავა, ვინც შესაბამისი დოკუმენტები მიიღო, გაეცნო და გადასცა პრეზიდენტს. პრეზიდენტის მხრიდანაც ჩვენ ველოდებოდით დეტალურ განმარტებას, მაგრამ ვნახეთ, რომ მან მორატორიუმი გამოაცხადა თავისივე გადაწყვეტილებაზე და ეს თავის მხრივ შეიცავს პრობლემებს, — ამის შესახებ განცხადება ტელეკომპანია იმედის ეთერში ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძემ გააკეთა.



მან აღნიშნა, რომ წინა პრეზიდენტების შემთხვევებშიც ხდებოდა სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღება, მაგრამ არსებობდა გარკვეული, თუნდაც ცუდი ლოგიკა შეწყალებებთან დაკავშირებით.

— ჩვენ ყოველთვის პრინციპულები ვიყავით, როცა ვაფასებდით მიხეილ სააკაშვილის ძალიან სუბიექტურ გადაწყვეტილებებს შეწყალებასთან დაკავშირებით. ის შეწყალებას იყენებდა თავისიანებისთვის, ეს ვიცოდით.

იგივე პრაქტიკა გააგრძელა პრეზიდენტმა მარგველაშვილმა, აქაც პრინციპული პოზიცია დავიჭირეთ და ვაკრიტიკებდით, მაგრამ ბოლო შემთხვევაში ეს ლოგიკაც კი არ ჩანს და ზუსტი პასუხი ამ წუთას არ მაქვს, რის გამო შეიწყალა პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა ის ადამიანები, რამაც სავსებით სამართლიანად გამოიწვია საზოგადოების აღშფოთება, — განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

მისივე განცხადებით, გამოძიების შედეგები მოგვცემს საშუალებას, ყველა საკითხს კონკრეტული პასუხი გაეცეს.

# მიხეილ სააკაშვილის ვაჟი, ედუარდ სააკაშვილი, პოლიტიკაში მოდის

მიხეილ სააკაშვილის ვაჟმა — ედუარდ სააკაშვილმა მიმდინარე მოვლენების ფონზე განცხადება სოციალურ ქსელ ტვიტერში გაავრცელა.



„მინდა დავიწყო ბოდიშით. ბოდიში. ვდუმდი. ვდუმდი, რადგან განათლებას ვიღებდი. განათლებას ვიღებდი, რათა შემეცვალა ამ ქვეყნის მომავალი, რომელსაც საფრთხე ემუქრება ჩრდილოელი მტრისგან და მის მიერ ხელდასხმული ოლიგარქისგან.

დროა, ჩემი სათქმელი ვთქვა შემაშფოთებელი და აღმაშფოთებელი 20 ივნისის შემდეგ რუსი გახარია პრემიერ-მინისტრად დაგვისვეს.

ახლა სიჩუმის დრო აღარაა! დარბევიდან უკვე 3 თვე გავიდა და საჭიროა საზოგადოების სრული მობილიზაცია და დროული გადაწყვეტილებების მიღება.

უნდა შეიქმნას ბევრი ახალგაზრდული ორგანიზაცია ჩვენი პარტიის ეგიდით, პირობას გაძლევთ, ამ ორგანიზაციებს ღირსეულ ლიდერობას გავუწევთ მე და ჩემი განათლებული თანამოაზრეები!!!

შეხვედრამდე; ე.სააკაშვილი.“, — წერია განცხადებაში.

# „კიდევ არსებობს ნაპერწკალი, რომლისგანაც შეიძლება გაღვივდეს სიყვარული“

## გია ვოლსკიმ აფხაზებს და ოსებს მიმართა



საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა გიორგი ვოლსკიმ 20 სექტემბრის პლენარულ სხდომაზე, სადაც შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს, ქეთევან ციხელაშვილს „მინისტრის საათის“ ფორმატში მოუსმინეს, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებლებს მიმართა:

— მინდა მივმართო აფხაზებსაც და ოსებსაც, ვინც რჩებიან საოკუპაციო ხაზს იქით — ჩვენ არანაკლებ განვიცდით თქვენს მდგომარეობას. მიუხედავად იმ მწვავე დაპირისპირებისა, რაც ომის პერიოდში მოხდა, მიუხედავად იმ სისხლისღვრისა, ჩვენ ვიცით, რას წარმოადგენს კავკასიური სოლიდარობა, ტრადიცია. კიდევ არსებობს ნაპერწკალი, რომლისგანაც შეიძლება გაღვივდეს ის სიყვარული, რომელიც ჩვენ ერთმანეთთან გვახასიათებდა.

# პრეზიდენტი აშშ-ში სამუშაო ვიზიტით გაემგზავრება

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი მომავალ კვირას სამუშაო ვიზიტით აშშ-ში გაემგზავრება.

პრეზიდენტი 25 სექტემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის 74-ე სესიაზე სიტყვით გამოვა და სესიის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში მიიღებს მონაწილეობას.



გაეროს ფორმატში გაიმართება მაღალი დონის თემატური შეხვედრები, მათ შორის: მდგრადი განვითარების მიზნების, უნივერსალური ჯანდაცვისა და კლიმატის საკითხებზე.

ნიუ-იორკში საქართველოს პრეზიდენტის მონაწილეობით იგეგმება ორმხრივი შეხვედრები სხვადასხვა ქვეყნების ლიდერებთან და გაეროს გენერალურ მდივანთან. საქართველოს პრეზიდენტი გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაში მონაწილეების პატივსაცემად დონალდ ტრამპისა და მისი მეუღლის სახელით გამართულ ოფიციალურ მიღებას დაესწრება.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ამერიკული გემის ფოთში არშემოშვება რუსეთისთვის კოჭის გაგორების პოლიტიკაა“

## ზაალ უდუმაშვილი: „გადაწყვეტილება ღარიბაშვილსა და წულუკიანს არ მიუღიათ. ეს ივანიშვილის გადაწყვეტილებაა“

იაგო ნაცვლიშვილი

**16 სექტემბერს ფოთის პორტში ამერიკული გემი არ შემოუშვეს. ეს არის ირაკლი ღარიბაშვილის თავდაცვის მინისტრობის დროს მიღებული პირველი ხმაურიანი გადაწყვეტილებაა, რამაც ბევრი კითხვის ნიშანი გააჩინა, თან იმ ფონზე, როდესაც სწორედ ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერობისას იყო სკანდალი მას და მაშინდელ თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას შორის. მაშინ ალასანიამ საფრანგეთთან ხელშეკრულება გააფორმა საჰაერო თავდაცვის შეიარაღების ყიდვის თაობაზე, რამაც საბოლოოდ მისი თანამდებობა შეიწირა, რაც მერე მისი პარტიის — თავისუფალი დემოკრატების — ოპოზიციაში გადასვლის საფუძველი გახდა.**

ამერიკული გემის ფოთის პორტში შემოსვლის საკითხზე „ნეტგაზეთთან“ გააკეთა კომენტარი საქართველოში ამერიკის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა ელიზაბეტ რუდმა.

„ამერიკულ გემს მარაგის შესავსებად დაგეგმილი ჰქონდა სტანდარტული გაჩერება პორტში, თუმცა გემის მისვლის დროისთვის იმავე ნავმისადგომში კომერციული გემი იყო გაჩერებული. ხელი რომ არ შეეშალა აღნიშნული გემის კომერციული საქმიანობისთვის და საკუთარ გრაფიკს გაჰყოლოდა, ამერიკულმა ხომალდმა გზა განაგრძო“, — განაცხადა ელიზაბეტ რუდმა.

ქართულ-ამერიკული ურთიერთობისა და რუსული ნარატივის შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი **ზაალ უდუმაშვილი** საუბრობს.

***— შეაფასეთ ინფორმაცია, რომელიც რამდენიმე დღის წინ გახდა ცნობილი. მხედველობაში მაქვს ამერიკული გემების ფოთის პორტში არშემოშვების საკითხი. რას გეუბნებათ ეს, მაშინ როდესაც სულ ახლახან დაინიშნა თავდაცვის მინისტრად ირაკლი ღარიბაშვილი?***

— რაც მოხდა ამერიკულ გემებთან დაკავშირებით, ეს არის უმძიმესი ფაქტი საქართველოსთვის და ეს იქნება ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ინტერესების დამაზიანებელი, მით უმეტეს, რომ ეს ეხება ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორ აშშ-თან ურთიერთობას. ამერიკა ამ წლების განმავლობაში ყველაზე დიდი მეგობარია ჩვენი და ასე იქნება მომავალში. „ქართულმა ოცნებამ“ კი გადაწყვიტა, რომ საქართველოს სტრატეგიულ ინტერესებს დაარტყას. ამას ასახავს ეს ფაქტი.

ახლა რაც არ უნდა თავი იმართლოს იმით, რომ თურმე იქ გემები იდგა და ადგილი არ იყო შემოსასვლელი და ვერ შემოვიდოდა. უკაცრავად, მაგრამ ასეთი ხომალდები ტაქსები კი არაა, რომ შემოუხვია ფოთის პორტთან და იქ გაჩერდა. ეს ხომ შეთანხმებული იყო, რომ მოდიოდა გემები. კეთილი უნდა ინებო ამ დროს ხელისუფლებამ და უნდა გაათავისუფლო ადგილი ფოთის პორტში, მაგრამ ის ასე არ მოიქცა, იმიტომ, რომ ეს იყო შეგნებული ნაბიჯი, რომ ეს გემი არ შემოსულიყო ქართულ პორტში. რატომ და რა მიზნით, ამაზე დასკვნების გაკეთება მარტივია.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ ალბათ გადაიკვეთებოდა რუსეთის ინტერესები, თუ ეს გემი შემოვიდოდა. ხომ ვუყურებთ, რაც ანაკლიის პორტის მიმართულებით ხდება. ზუსტად იმავე პოლიტიკის გაგრძელება არის ის, რაც მოხდა ამერიკულ გემთან დაკავშირებით, ანუ კოჭის გაგორება რუსეთთან საქართველოს სახელმწიფო ინტერესების დაზიანების ხარჯზე. მხოლოდ და მხოლოდ ეს შეფასება შემიძლია გავუკეთო ამ ფაქტს.

***— ანუ ეს არის „ქართული ოცნების“ მხრიდან რუსეთის მაამებლური პოლიტიკის გაგრძელება?***

— რა თქმა უნდა. მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ვერ გააცნობიერა, რასთან გვქონდა საქმე და რას ემსახურებოდა ამ გემის საქართველოს პორტში შემოსვლა. როდესაც ამერიკის სამხედრო გემი შემოდის შენს პორტში, ჩათვალეთ, რომ ეს არის ძალიან დიდი მხარდაჭერა. სულ რომ გაჩერდეს პორტის მუშაობა ამის გამო, მაშინაც კი. ამას თუ ვერ აცნობიერებს საქართველოს ხელისუფლება, არ ვიცი.

მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ამას ვერ აცნობიერებენ. ეს იყო შეგნებულად გამიზნული ნაბიჯი, რომ ეს გემი ვერ შემოსულიყო ქართულ პორტში.

***— ხელისუფლება არა უუნარო, არამედ მავნებლური პოლიტიკის განმახორციელებელია?***

— არა, ეს ხელისუფლება უუნარო არ არის. ეს არის მიზანმიმართულად განხორციელებული პოლიტიკის ნაწილი. ამას ბოლო დღეებისა თუ თვეების განმავლობაში განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ვხედავთ, დაწყებული 20 ივნისითა და დასრულებული გავრილოვის სისხლიანი ღამით. ვხედავთ, რაც ხდება ანაკლიის პორტთან დაკავშირებით და ბოლო აკორდი იყო ეს, როდესაც ამერიკული ხომალდი ვერ შემოვიდა ფოთის პორტში.

***— უკავშირებთ თუ არა ამ თემას პირადად ირაკლი ღარიბაშვილს, რომლის სახელთან არის დაკავშირებული ალასანიას მინისტრობისას საფრანგეთთან გაფორმებული ხელშეკრულება საჰაერო თავდაცვის შესყიდვის თემაზე. ამის გაგრძელების ნაწილად ხომ არ განიხილავთ ამ საკითხს?***



— ირაკლი ღარიბაშვილი ალბათ იყო ივანიშვილის დავალების შემსრულებელი ამ შემთხვევაში, იმიტომ, რომ ირაკლი ღარიბაშვილი ნამდვილად ვერ გადაწყვეტდა, თვითონ ვერ მიიღებდა გადაწყვეტილებას, შემოსულიყო თუ არა ეს გემი. მას ამის კომპეტენცია არ გააჩნია, იმის მიუხედავად, რომ თავდაცვის მინისტრის პოსტი უკავია. ეს იდეა თუ წამოვიდოდა, წამოვიდოდა მხოლოდ ბიძინა ივანიშვილისგან.

***— კიდევ ერთი ხმაურიანი საქმე გაავრცელა შსს-მ არასრულწლოვნების პორნოგრაფიაში შესაძლო ჩართვაზე. ძალიან მძიმე თემაა, ზედმეტად აქცენტირებული ხომ არ იყო ამერიკის მოქალაქის წამოწევა, ანუ ხომ არ ხედავთ მცდელობას, რომ ანტიამერიკული ნარატივი გაჩნდეს?***

— ამ საკითხზე ამ მიმართულებით კომენტარის გაკეთებისგან თავს შევიკავებ, ვინაიდან საქმე ძალიან მძიმე დანაშაულს ეხება. ყველა სარგებლობს უდანაშაულობის პრეზუმფციით, სანამ არ დადგინდება დანაშაული, მაგრამ თვითონ ფაქტი იმდენად მძიმეა, რომ ახლა დასკვნების გაკეთება ალბათ რთული იქნება. ეს გამოჩნდება გამოძიების პროცესში.

ალბათ უფრო მეტი ინფორმაციაა საჭირო, მათ შორის ადვოკატისგანაც. მეტი ინფორმაციაა საჭირო, რაც გამოძიების პროცესში გამოიკვეთება და ამის შემდეგ შეგვეძლება დასკვნების გაკეთება. ახლა ამ ეტაპზე რთულია კონკრეტული დასკვნების გაკეთება ამ მიმართულებით.

***— ანუ ამ მიმართულებით კითხვები თქვენც გაგიჩნდათ?***

— არა, კითხვები შეიძლება არსებობდეს, მაგრამ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ საკმაოდ მძიმე დანაშაულთან გვაქვს და ძალიან ადრეა დასკვნების გაკეთება. სჯობს, დაველოდოთ გამოძიებას და ამის შემდეგ გავაკეთოთ დასკვნები.

***— რას ფიქრობთ წულუკიანის გადაწყვეტილებაზე, როდესაც რუსეთს გადასცეს ტერორიზმში ბრალდებული პირი და გვითხრეს, ეს გავაკეთეთ, რადგან ვიმედოვნებთ, არ აწამებენო? დაახლოებით ასეთი იყო მისი შეფასება.***

— ეს კიდევ ადასტურებს იმას, რომ რუსეთის ყველა მოთხოვნა თემატურად აღიქმება, როგორც ბრძანება. წულუკიანის არგუმენტი იყო ის, რომ ჩვენ რუსეთისგან სამართლებრივი გარანტიები მივიღეთ, მის სიცოცხლეს საფრთხე არ დაემუქრებაო.

რუსეთის მხრიდან მიღებული გარანტია თუ მართლა გარანტიად ითვლება, მაშინ ძალიან ცუდად არის ჩვენი ხელისუფლების საქმე. ქვეყანა, რომელსაც შენი ქვეყნის 20% ოკუპირებული აქვს, საერთაშორისო სამართლით აღებული ვალდებულებები არ შეუსრულებია საქართველოსთან მიმართებით და ამ დროს გვეუბნებიან, რომ თურმე გარანტიები მიიღეს, რომ ამ პირთან მიმართებით რამე ისეთი არ განხორციელდება. რა, ამ გარანტიების დარღვევა გაუჭირდებათ?

საქმე გვაქვს რუსეთთან, ხალხო! ეს ვერ იქნება გამამართლებელი არგუმენტი წულუკიანისთვის.

***— წულუკიანი იბრძოდა და იბრძვის რუსეთის წინააღმდეგ სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე ჰააგის სასამართლოში, იცის მისი ქმედებები და ამ დროს საუბრობს ასეთ გარანტიებზე. ეს რას ნიშნავს?***

— გასაგებია, რომ ესეც მოსული დირექტივებია და ამ შემთხვევაშიც, ვფიქრობ, ეს გაცილებით მაღალ დონეზე გადაწყდა, ვიდრე წულუკიანია. ასეთი საკითხები წყდება სხვა დონეზე. შესაბამისად, ესეც დირექტივაა და იუსტიციის მინისტრი იძულებული გახდა, ეს დირექტივა შეესრულებინა, თუმცა იუსტიციის მინისტრი სხვა რომ ყოფილიყო და ეს ხელისუფლება არ იყოს, ასე მარტივად არ მოხდებოდა ამ ადამიანის გადაცემა რუსეთის მხარისთვის.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, საქმე გვაქვს რუსეთთან, იმ რუსეთთან, რომელიც ნამდვილად არ გამოირჩევა, როგორც სამართლებრივი სახელმწიფო და ქვეყანა, რომელიც იცავს იმ სამართლებრივ შეთანხმებას, რომელიც არსებობს სხვა ქვეყანასთან.

არანაირი გარანტია არ აქვს ქართულ მხარეს, რომ რუსეთი შეასრულებს პირობას და ამ ადამიანს არ დაემუქრება რამე საფრთხე.

# „პრეზიდენტმა იცოდა, რას აწერდა ხელს“

## პოლიციელის მკვლელის ადვოკატმა თეონა ქორიძემ პრესკონფერენცია გამართა

— პრეზიდენტთან მქონდა შეხება, მან იცოდა, რას აწერდა ხელს.

ამის შესახებ 20 სექტემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე პრეზიდენტის მიერ შეწყალებული, პოლიციელის მკვლელობაში მსჯავრდებული რამაზ დევაძის ადვოკატმა თეონა ქორიძემ განაცხადა.




მისი თქმით, პრეზიდენტს აუხსნა, რომ მომხდარი შემთხვევითობა იყო და არა განზრახ მკვლელობა.

— იქედან გამომდინარე, რომ ამ საქმეზე დიდი აჟიოტაჟია ამტყდარი, საჭიროდ ჩავთვალე ვისაუბრო ამ თემაზე.

როცა ეს ტრაგიკული ფაქტი მოხდა, რამაზ დევაძეს შეულახეს რეპუტაცია, რამაც სასამართლოზე იმოქმედა. პრეზიდენტამდე მივიტანეთ რეალური ამბავი, რომ ეს არ იყო განზრახ მკვლელობა, ეს იყო გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა, შემთხვევითობა.

დევაძე პოლიციელსა და ერთ პირს შორის გაშველების მიზნით ჩაერთო საქმეში, რაც ვიდეომტკიცებულებებში კარგად ჩანს. სხვათა შორის, ვიდეოში ისიც გამოჩნდა, რომ მის წინააღმდეგ გამოყენებული მოწმეები შემთხვევის ადგილზე არც იმყოფებოდნენ.

სამი ინსტანციის სასამართლომ არ გაითვალისწინა მტკიცებულებები, პრეზიდენტის ეს აქტი კი იყო მართლმსაჯულების აღსრულება. პრეზიდენტს ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი აქამდეც უნდა შეეწყალებინა.

ის ძალიან განიცდის საზოგადოების უარყოფით რეაქციას, ძალიან რთულ მდგომარეობაშია. მე პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, პრეზიდენტთან მქონდა შეხება, მან იცოდა რას აწერდა ხელს, — აცხადებს ადვოკატი თეონა ქორიძე.

მისივე თქმით, რამაზ დევაძე გარდაცვლილი თარაშ მუკბანიანის სახელზე ეკლესიას აშენებს.

# ანაკლიის კონსორციუმი: „ინვესტორი „მერიდიანი“ ყაზახური წარმომავლობისაა“

„ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ მისი ერთ-ერთი პოტენციური ინვესტორის, მერიდიან ლკაპიტალ ლიმიტედის შესახებ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას ეხმაურება.



კერძოდ, კონსორციუმის განცხადებაში ნათქვამია, რომ „მერიდიანი“ არის მსხვილი საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფი, რომლის წარმომავლობაც ყაზახურია.

კონსორციუმის განცხადების მიხედვით, „მერიდიანის“ სათავო ოფისი ჰონგ-კონგში მდებარეობს.

კონსორციუმი განმარტავს, რომ „მერიდიანი“ არ არის მისი ერთადერთი პოტენციური ინვესტორი, რომელთანაც ინვესტირების თაობაზე მოლაპარაკებებს აწარმოებს. მოლაპარაკებები მიმდინარეობს ასევე ამერიკულ საინვესტიციო ფონდთან, რომლის შესახებ ინფორმაცია საქართველოს მთავრობას განხილვისთვის წარედგინა.

— კონსორციუმი აგრძელებს აქტიურ მუშაობას, მათ შორის საქართველოს მთავრობასთან, რომ სახელშეკრულებო ვალდებულებები შეასრულოს, — აღნიშნულია განცხადებაში.

„ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა“ ცოტა ხნის წინ ხელისუფლებას ორი მსხვილი საერთაშორისო ინვესტორი წარუდგინა. როგორც მამუკა ხაზარაძემ სხვადასხვა მედიასაშუალებასთან ინტერვიუში განაცხადა, კონსორციუმმა ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბრიტანული წარმომავლობის ინვესტორი შესთავაზა, თუმცა მთავრობისგან უარი მიიღო.

ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა 2017 წლის დეკემბერში დაიწყო. პორტის პირველი ფაზის მშენებლობის დასრულება და პირველი გემების მიღება 2020 წლის ბოლოსკენ იგეგმებოდა.

26 ივლისს ცნობილი გახდა, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ „თიბისი ბანკის საქმეზე“ დაწყებული გამოძიების გამო, ბადრი ჯაფარიძემ და მამუკა ხაზარაძემ ანაკლიის მმართველი საბჭოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობის დატოვების გადაწყვეტილება მიიღეს.

ასევე, ცოტა ხნის წინ ანაკლიის პროექტი მსხვილმა ამერიკულმა ინვესტორმა „კონტი ჯგუფმა“ დატოვა.

ამ ეტაპზე კონსორციუმი მთავრობასთან ინვესტორებთან დაკავშირებით მოლაპარაკებას აწარმოებს.



**შევიძენ**

**ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.**

**ტელ.: 598-43-98-57**

# ანზორ ჩუბინიძე: „სროლაზე ბრძანება არ გამიცია“

## ის ადასტურებს, რომ 20 ივნისის აქციის დარბევის საქმეზე პროკურატურაში დაიკითხა

20 ივნისის აქციის დარბევის საქმეზე გენერალურ პროკურატურაში სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი ანზორ ჩუბინიძე დაიკითხა.

აღნიშნულს ჟურნალისტებთან საუბარში თავად ჩუბინიძე ადასტურებს და აცხადებს, რომ გამოძიების ყველა კითხვას უპასუხა.



— რაც მკითხეს, ყველანაირი ინფორმაცია მივაწოდე. აინტერესებდათ, რა დონეზე ვიყავით ჩართულები და როგორ ვმონაწილეობდი. პირადად ჩემთან ჰქონდათ კიდევ კითხვები, ჩემი მონაწილეობის შესახებ.

მე ვარ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელი, პარლამენტი არის სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ერთ-ერთი დასაცავი უმნიშვნელოვანესი ობიექტი და მგონი, აქ კითხვები არ არის, თუ რატომ ვიყავი იქ.

მე მხოლოდ და მხოლოდ ვაძლევდი ბრძანებებს მხოლოდ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებს. რა თქმა უნდა, არ გავცემდი ბრძანებებს სროლაზე.

რაც შეეხება იმას, რომ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლები განლაგებულები იყვნენ პარლამენტის სხვადასხვა შესასვლელთან, ეს ასე იყო და ასე იქნება, სანამ მე ვიქნები ხელმძღვანელი და ყოველთვის მივიღებ მონაწილეობას კანონსაწინააღმდეგო ქმედების აღკვეთაში, — განაცხადა ანზორ ჩუბინიძემ.

მისი თქმით, ლეტალური ტყვიები გამოყენებული არ ყოფილა.

— უმჯობესია, ეს შეკითხვები შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუსვათ. ჩემი სამსახურის თანამშრომლებს არანაირი იარაღი არ ჰქონიათ.

არავინ არ გაურბის პასუხისმგებლობას, მათ შორის არც მე, თუ დადგება დღის წესრიგში, — განაცხადა ჩუბინიძემ, რომელმაც არ გამორიცხა, რომ პროკურატურაში დაკითხვაზე კიდევ დაიბარონ.

# მამუკა ახვლედიანი: „ნუ გექნებათ სამართლიანობის იმედი!“

## „არ არსებობს მექანიზმი, რითიც ამ ქვეყანაში თავს დაიცავ“

ნონა ცაბაძე



**„ახალი თაობის“ კითხვებს სააპელაციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი პასუხობს.**

***– ბატონო მამუკა, ვრცელდება ინფორმაცია, რომ თადუმაძე უზენაეს სასამართლოში გადაინაცვლებს, ხოლო პროკურატურაში ირაკლი შოთაძე დაბრუნდება. რა მიდგომებია, ვისაც სად უნდათ, იქ გადასვამენ, გაშვებულს დააბრუნებენ. სახელმწიფოა თუ კანტორა?***

– ის პროცესი, რომელიც დღეს მიმდინარეობს, მიუღებელი და წარმოუდგენელია. მას არაფერი აქვს საერთო სამართლიანობასთან და სასამართლო სისტემის დაკომპლექტებასთან. დანარჩენი რაც მოხდა, მე არც მიკვირს ამ ტიპის დანიშვნები. პირველი ინსტანციის სასამართლოც ასე დაკომპლექტდა, შემდეგ აპელაციაც და ახლა უზენაეს სასამართლოსაც მიადგნენ.

ამიტომ არა აქვს არავის სასამართლოს ნდობა და ამიტომ არის მისი რეიტინგები ყველაზე დაბალი სახელმწიფო სტრუქტურებში.

***– ვისმენთ შეფასებებს, რომ ამჟამინდელი პროკურატურა ივანიშვილის ჯიბის პროკურატურად იქცა. თქვენც ასე ფიქრობთ?***

– რა თქმა უნდა. ამას პროკურატურა არ ჰქვია. მე მას დავარქვი „მიმდინარეობს გამოძიება“. მხოლოდ ეს ერთი ტექსტი აქვს ამ უწყებას. არც ერთი გამოძიება ამ ცნობილ საქმეებზე დასრულებული არ არის. მაშინ რას აკეთებს პროკურატურა? მხოლოდ პოლიტიკურ დავალებებს ასრულებს.

***– კეთდება განცხადებები, რომ ბოლო პერიოდში ძალიან ბევრი პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღეს როგორც პროკურატურამ, ისე სასამართლომ. თქვენც იზიარებთ ამ აზრს?***

– კი ბატონო, მეც მაგას ვამბობ. დაკავებები, თუნდაც 20 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით, მე პირადად ვიმყოფებოდი და ზუსტად ვხედავდი, რა ხდებოდა იქ. მსგავსიც კი არაფერი მომხდარა, რასაც ედავებიან და წმინდა პოლიტიკური დაკავებებია ის, რასაც პროკურატურა აწარმოებს და რომელსაც სასამართლო კიდევ უფრო დიდი გულმოდგინებითა და კიდევ უფრო მახინჯი ფორმებით აგრძელებს.

***– ერთგვარ ტრენდად იქცა გაშვებული მინისტრებისა თუ პროკურორების უკან მობრუნება. ახლა შოთაძის მობრუნების მოლოდინში ვართ. რა ხდება, ეს მეორედ მოსვლა მოდაშია „ოცნებაში“?***

– როგორც ჩანს, ივანიშვილი მხოლოდ იმ ადამიანებს ეყრდნობა, რომელთა მიმართაც ნდობა აქვს, რაც კიდევ ერთხელ აზიანებს ამ უწყებების ინტერესებს. ზოგადად დაბრუნება პრობლემა არ არის, მაგრამ რა პერიოდში, რა ფორმითა და როგორი წესით ხდება ამ ადამიანების დაბრუნება და დაწინაურება, ეს არის ყველაზე ცუდი, რაც ცალსახად აჩვენებს, რა პროცესი მიმდინარეობს.

***– რა პროცესი?***

– ადამიანებს პირდაპირ აგრძნობინებენ, თქვენ არაფერს წყვეტთ, ჩვენ ვწყვეტთ და, ვისაც გვინდა, დავაბრუნებთ, ვისაც გვინდა, დავნიშნავთ და, როგორც გვინდა, მოვიქცევითო.

***– სასამართლომ კენჭი უნდა უყაროს უზენაესი სასამართლოს 20 მოსამართლის კანდიდატურას. რა შეიცვლება მათი მისვლით უზენაეს სასამართლოში?***

– არაფერი არ შეიცვლება. თუ თავმოყვარეობა გააჩნიათ ამ ადამიანებს, ამ პროცესში მონაწილეობაც კი არ უნდა მიიღონ. შეიძლება, ბევრი კარგი ადამიანიც არის პიროვნულად, მაგრამ უკვე ყველანი მზად არიან, გახდნენ ამ სისტემის მსახურები.

როცა გინდა, რომ სასამართლო სისტემის ავტორიტეტი წამოიწიოს, ვისით უნდა წამოიწიოს?! ისევ ამ ადამიანებითა და ამ ჯგუფის მიერ? ეს ხომ წარმოუდგენელია.

***– რატომ არის წარმოუდგენელი?***

– იმიტომ, რომ ეს არის დანაშაულებრივი ჯგუფი! მე პირადად ვიცნობ საბჭოს წევრებს. ამ საბჭოში 99% სხედან ისეთი ადამიანები, რომ მათი შერჩეული რა უნდა იყოს!

***– ბოლო პერიოდში სასამართლო უწყების პირველ ინსტანციაში მიღებულ გადაწყვეტილებას თითქმის უცვლელად ტოვებს და აკანონებს სააპელაციო სასამართლო. ასეთი რამ ნორმალურია?***

– სააპელაციო სასამართლო დღეს ამკვიდრებს აზრს, რომ აზრი არ აქვს გასაჩივრებას.

***– მაშინ სააპელაციოც და უზენაესიც ფუნქციას კარგავენ. მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით მიიღება გადაწყვეტილებები?***

– სწორედ ამას ნიშნავს. ამათ სასამართლოს დამორჩილება კი არ უნდათ. სასამართლო ისედაც დამორჩილებულია. სასამართლოს გაუქმება უნდათ! ამ ტიპის ადამიანების დანიშვნით ხალხს ეუბნებიან, თქვენს ბედს სასამართლო ვერ გადაწყვეტსო. თქვენს ბედს გადაწყვეტენ სხვა პოლიტიკური ჯგუფები და, თუ ჭკვიანად არ იქნებით, რასაც გვინდა, იმას გაგიკეთებთო.

***– ასეთი მაღალი დოზით უნდობლობა სასამართლოს დიდი ხანია, არ ჰქონია.***

– ნამდვილად ასეა. მიუხედავად იმ შეცდომებისა, იმ პრობლემებისა, რომლებიც სასამართლოში ადრე იყო, სასამართლო სისტემა მეტ-ნაკლებად ვითარდებოდა, რაღაცა მაინც კეთდებოდა. დღეს ამის ილუზიის შექმნასაც კი არავინ ცდილობს. პირიქით, ისეთი ადამიანები ინიშნებიან, საზოგადოება დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მას სასამართლოს იმედი არ უნდა ჰქონდეს და მან სხვა ადამიანებთან უნდა მოაგვაროს საკითხები.

***– პირდაპირი მესიჯია, ნუ გექნებათ სამართლიანობის იმედიო?***

– კი ბატონო. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ სასამართლო არ გვაქვს, ხოლო როცა სამართალი არ არსებობს ქვეყანაში, მერე ხალხი სხვა გზას პოულობს, სხვაგვარად ცდილობს პრობლემის მოგვარებას და ამიტომაც ხდება მერე პოლიტიკური ჯგუფების ჩარევა დავებსა და გარჩევებში.

პირდაპირ ეუბნებიან მოქალაქეებსა თუ ბიზნესმენებს, თქვენს საკითხს სასამართლო ვერ გადაწყვეტს, თქვენს საკითხს გადაწყვეტენ კონკრეტული ადამიანები და, თუ ჩვენი კეთილგანწყობა არ გექნათ, ნებისმიერ პროცესს წააგებთო.

წარმოიდგინეთ, ეს როგორი სიგნალია ბიზნესისთვის. ვინ შეიძლება, ასეთი ტიპის ქვეყანაში ფული ჩადოს?! არავინ. მხოლოდ იმ ჯგუფებმა, რომლებსაც მათგან ექნებათ მხარდაჭერა. მათგან მხარდაჭერა ექნებათ მხოლოდ პოლიტიკურად დაინტერესებულ ჯგუფებს და ამ ტიპის ქვეყანაში მხოლოდ პოლიტიკური ფული შემოვა.

ამ ტიპის ქვეყანაში თავისუფალი ფული არასოდეს შემოვა! არ არსებობს არანაირი მექანიზმი, რითიც ამ ქვეყანაში თავს დაიცავ.

# ვახტანგ ძაბირაძე: „კალაძე სერიოზულ ფიგურად ყალიბდება“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ვახტანგ, გამოცხადდა რუსთაველზე პერმანენტული აქციების დასრულება. ამით გახარია კომფორტის ზონაში გადავა? მან თქვა, რომ თუ საჭირო გახდება, პროკურატურაში მივა და ჩვენებასაც მისცემს და ის იქნება პირველი პრემიერი, რომელიც ჩვენებას მისცემს.***

– პროკურატურაში თუ დაიბარებენ, რა თქმა უნდა, მივა, რადგან ეს პიარის ნაწილია. ამით რეალურად ხომ არაფერი წყდება, რადგან პროკურატურამ წინასწარ იცის, რა უნდა გამოიძიოს და როგორ. საქმისთვის ამას მნიშვნელობა არ ექნება, მაგრამ პიარისთვის – კი, რადგან ის იქნება პირველი პრემიერი, რომელიც პროკურატურაში მივა ჩვენების მისაცემად.

შეიძლება, აქციები მართლაც უქმნიდეს ხელისუფლებას უხერხულობას, მაგრამ არც იმდენად, რომ ამაზე ვინმე ნერვიულობდეს. ამ აქციებმა თავისი პოტენციალი დიდი ხნის წინ ამოწურა.

აქცია პიკზე უნდა დაასრულო, თუ გინდა, რომ მართლაც შედეგიანი იყოს. აქციას თუ იმდენი ხანი გააგრძელებ, რომ თვითდაშლამდე მივა, ის კაპიტალი, რომელიც მოიპოვა აქციამ, შეიძლება გაუფერულდეს. ამდენად, სწორი გადაწყვეტილებაა აქციების დასრულება. გაგრძელება წამგებიანი იქნებოდა. ამ ქვეყანაში აქციებსა და პროტესტს სხვა აღქმა აქვს, ვიდრე დასავლეთში.

***– რა განსხვავებაა?***

– ჩვენთან აქციის ძალა მის რაოდენობაში გამოიხატება. თუ რაოდენობა არ იქნება, აქცია დევალვირებულია.

***– კალაძე თითქოს პოლიტიკურ პროცესებში არ ერევა და ჩუმად არის, თუმცა ზურაბიშვილი გააკრიტიკა. მართლაც სამეურნეო საქმეებითაა დაკავებული, როგორც დედაქალაქის მერი თუ რაღაცას ელოდება?***



– ნიშანდობლივია, რომ მიუხედავად კალაძის პოლიტიკაში გამოუცდელობისა, მას საკმაოდ დიდი უნარი აღმოაჩნდა, წარმატებული ყოფილიყო.

კალაძე საკმაოდ სერიოზულ ფიგურად ყალიბდება. ის არ გაურბის არც ერთ მწვავე კითხვას. იშვიათად მახსოვს მისი კომენტარი, ერთიორის გარდა, რომელიც ამოვარდნილიყო. ერთი ნამდვილად იყო არაკორექტული, მთაწმინდიდან გამოქანებაზე როდესაც თქვა. სხვა შემთხვევაში ის საკმაოდ სტაბილური და მოზომილია.

მას აქვს გარკვეული უნარები, რომ არეგულიროს ვითარება. ახლაც ქალაქში მართლაც არის საცობი და მოძრაობა გართულებულია, მაგრამ ამ პრობლემაზე დამაჯერებლად უპასუხა – თუ გვინდა ინფრასტრუქტურული პროექტები, მაშინ ქუჩის გადაკეტვა უნდა ავიტანოთ.

ის გამოკითხულთა შორის ხელისუფლების წარმომადგენლებში ლიდერობს. ეს ერთგვარი დივიდენდია.

რაც შეეხება პრეზიდენტ ზურაბიშვილის კრიტიკას, მოდი, ასე ვთქვათ, ეს პრეზიდენტ მარგველაშვილის კრიტიკის რანგშია. კრიტიკა მაშინ იქნება, თუ ივანიშვილის კრიტიკას გაბედავს.

# ოკუპირებული აფხაზეთი აღიარების გაფართოებას აჯიკის დახმარებით აპირებს

მარიამ მჭედლიშვილი

**ოკუპირებული აფხაზეთი მონაწილეობდა იტალიის კალაბრიის მხარის ქალაქ დიამანტაში გამართულ წიწაკის ტრადიციულ ფესტივალზე, რომელსაც 200.000 სტუმარი დაესწრო.**



აფხაზეთს ჰქონდა თავისი სტენდი. გარდა ამისა, ბროშურაში, რომელიც ფესტივალის პრეზენტაციის დროს იტალიის სენატში გაიმართა, აფხაზეთს ცალკე გვერდი მიეძღვნა.

აფხაზეთს საერთაშორისო გამოფენებსა და ფესტივალებში აქამდეც მიუღია მონაწილეობა. უმთავრესად ეს ღონისძიებები ეწყობოდა ან იმ ქვეყნებში, რომლებმაც აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“ აღიარეს, ან იმ სახელმწიფოებში, რომლებიც აღიარებას აპირებდნენ.

ასე იყო სირიის შემთხვევაშიც. ოკუპირებული აფხაზეთი ფართოდ იყო რეკლამირებული დამასკოს გამოფენებზე. ამის შემდეგ სირიამ ცნო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის „დამოუკიდებლობა“.

აფხაზეთის მიერ წარდგენილმა აჯიკამ იტალიაში ფესტივალზე დიდი მოწონება დაიმსახურა. გაფორმდა სამმხრივი ოქმი განზრახულობათა შესახებ სოხუმის ადმინისტრაციას, დიამანტის მერსა და იტალიის წიწაკის ასოციაციას შორის.

მასპინძლები მზად არიან, აფხაზური პროდუქცია განათავსონ ადგილობრივ მაღაზიებსა და რესტორნებში.

ცხარე აჯიკის გარდა, დიდი გასაქანი ელოდება აფხაზეთიდან ჩატანილ ალუჩის საწებელს, ასიძბალს, ასევე აჯინჯუხს (ჩურჩხელას), ღვინოებსა და წყლებს.

– აფხაზური დიპლომატიის მძლავრი იარაღია ჩვენი სამზარეულო, – აღიარებს აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი კან ტანია.

მისი თქმით, აფხაზურ კერძებსა და სურსათს შეუძლია იმ კარების გაღება, რომლებიც დახშულია პოლიტიკური გადაწყვეტილებებითა და პოლიტიკური ლოზუნგებით.

აფხაზეთის წარმოჩენაში იტალიურ ფესტივალზე აქტიური წვლილი შეიტანეს ვიტო გრიტანიმ, რომელიც ითვლება აფხაზეთის ფაქტობრივი საგარეო სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა ელჩად იტალიასა და მთელ ევროკავშირში, ასევე აფხაზ-აბაზინელთა საერთაშორისო კონგრესმა და ბრიტანეთში მცხოვრებმა აფხაზებმა.

ოფიციალურად იტალია პატივს სცემს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ამასთან, ამ ქვეყანაში 2017 წელს რეგისტრირებულია აფხაზეთის წარმომადგენლობა. ცხადდება, რომ მას დიპლომატიური ფუნქციები არ გააჩნია. ამ წარმომადგენლობამ უნდა დაიცვას ევროპაში მცხოვრები აფხაზების უფლებები.

ეს წარმომადგენლობა რომ მარტო უფლებების დაცვით არ კავდება, წიწაკის საერთაშორისო ფესტივალმაც დაადასტურა.

მანამდე იტალიის ქალაქ საროკსა და გაგრას შორის გაფორმდა ოქმი მეგობრობისა და თანამშრომლობის თაობაზე.

2013 წელს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო რეჟიმებმა მიმართეს იტალიასა და ჯუჯა სახელმწიფო სანმარინოს, აღიარონ მათი „დამოუკიდებლობა“.

სანამ სოხუმი და ცხინვალი პასუხს ელოდნენ, მათი პოზიციები დაიცვა რუსეთის კომპარტიის ვლადიკავკაზელმა წარმომადგენელმა, დეპუტატმა კაზბეგ ტაისაევმა, რომელიც მაშინაც რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატი იყო. ტაისაევმა ევროპელების გასაგონად გამოაცხადა, რომ აფხაზებსა და ოსებს 2008 წლის მოვლენების შემდეგ აქვთ თვითგამორკვევის უფლება.

ევროპის სახელმწიფოებისაგან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ოფიციალური აღიარება ნაკლებად მოსალოდნელია. საშიშროებას ქმნის ქმედებები, რომლებიც მათ დე ფაქტო ცნობას ნიშნავს.

ასეთ საკითხებზე პრეტენზიების დაყენებას ოფიციალური თბილისი მაქსიმალურად გაურბის.

# საქართველოს საპატრიარქო: „რუსეთის პატრიარქის ქმედება გაუგებარია და აღიქმება სეპარატიზმის წახალისებად“

– მისი უწმინდესობის, კირილეს, ქმედება ჩვენთვის გაუგებარია და აღიქმება სეპარატიზმის წახალისებად.

ასე ეხმიანება საქართველოს საპატრიარქო გავრცელებულ ინფორმაციას, რომ რუსეთის ეკლესიის მეთაურმა, კირილემ აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას „არჩევნებში“ გამარჯვება მიულოცა.

– მართალია, მოსკოვის საპატრიარქოს ოფიციალურ გვერდზე არ იძებნება აფხაზეთის „პრეზიდენტისადმი“ რუსეთის ეკლესიის მეთაურის მილოცვა, მაგრამ, ვინაიდან მათი მხრიდან არ მოხდა ამ ფაქტის უარყოფა, ვაფიქსირებთ ჩვენს პოზიციას:

აფხაზეთის მიწა-წყალი რომ ძირძველი ქართული ტერიტორიაა და იგი მხოლოდ საქართველოს საზღვრების ერთიანობაში უნდა იქნას აღქმული, ამას არც რუსეთის ეკლესია უარყოფს და აღნიშნულ სივრცეში საქართველოს ეკლესიის იურისდიქციას აღიარებს.

ამ ფონზე მისი უწმინდესობის, კირილეს, ქმედება ჩვენთვის გაუგებარია და აღიქმება სეპარატიზმის წახალისებად, რაც ქართველებსა და აფხაზებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობისაკენ სწრაფვის შემაფერხებელია.

გამოვთქვამთ იმედს, რუსეთის ეკლესია პატივისცემით მოეპყრობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხს და, გამომდინარე ქრისტიანული სწავლებიდან, ხელს შეუწყობს საქართველოსა და რუსეთს, ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის ურთიერთობების ნორმალიზებას, – აღნიშნულია საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის განცხადებაში.



# პროკურორი გოგორელიანი: „ბავშვების მშობლები ცდილობდნენ, რომ მათი შვილებისთვის უფრო მეტი ფოტო გადაეღოთ“



არასრულწლოვანთა პორნოგრაფიისა და ტრეფიკინგის საქმეზე დაკავებული ავსტრალიის მოქალაქე პოლ გრეგორ ლეხმანის ბრალდების სისხლის სამართლის საქმის პროკურორის, მარიამ გოგორელიანის, განცხადებით, პორნოგრაფიული ფოტო და ვიდეომასალის გადაღება ბრალდებულის სახლში მიმდინარეობდა.

გოგორელიანის განმარტებითვე, სწორედ ავსტრალიის მოქალაქე ახდენდა გადაღებული მასალის რეალიზებასაც.

– ავსტრალიის მოქალაქეს ბრალად ედება როგორც არასრულწლოვანთა პორნოგრაფიული მასალის დამზადება და გავრცელება, ასევე ტრეფიკინგი ორი ან მეტი არასრულწლოვნის მიმართ.

სისხლის სამართლის საქმეში მოიპოვება შესაბამისი მტკიცებულებები, რითიც დასტურდება ბრალდებულის მიმართ წარდგენილი დანაშაულებრივი ქმედების ფაქტი. უშუალოდ, მის კომპიუტერში ნაპოვნია ფოტოსურათები, რაზეც არსებობს შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა როგორც პიროვნების იდენტიფიცირებასთან, ასევე პირნოგრაფიულ შინაარსთან დაკავშირებით. ბრალდებული აღნიშნული მასალის რეალიზებას თავად ახდენდა, – განაცხადა გოგორელიანმა.

ბრალდებულის ადვოკატის, ნინო ტაბატაძის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი დუმილის უფლებას იყენებს.

## ავსტრალიელ პოლ ლეხმანს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა

– საქმის მასალების შესწავლის შემდეგ, დაცვის მხარე თვლის, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები კანონმდებლობით განსაზღვრულ დასაბუთებული სტანდარტის ვარაუდს ვერ აკმაყოფილებს.

ბრალდებული კანონით მინიჭებულ დუმილის უფლებას ინარჩუნებს და სასამართლოს წინაშე დავაყენებთ შუამდგომლობას, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ არ იყოს აღკვეთის ღონისძიების არც ერთი სახე გამოყენებული. ალტერნატივის სახით, სასამართლოს გირაოს გამოყენებას შევთავაზებთ. დანარჩენ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, კონკრეტულ მონაცემებს და ინფორმაციას ვერ მოგაწოდებთ, – განაცხადა ადვოკატმა სხდომის წინ, რომელიც ლეხმანის მიმართ ალმკვეთი ღონისძიების გამოტანაზე მსჯელობდა.

სხდომა დახურულ რეჟიმში ჩატარდა. პოლ გრეგორ ლეხმანს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

აღნიშნულ საქმეზე წინასასამართლო სხდომა 13 ნოემბერს, 11 საათზე დაინიშნა.

***

პროკურორ მარიამ გოგორელიანის განცხადებით, ხშირ შემთხვევაში, არასრულწლოვანთა მშობლები თავად იჩენდნენ ინიციატივას, რომ მათი შვილები ხშირად გადაეღოთ.

როგორც გოგორელიანი აცხადებს, ყველა ბრალდებული მშობლისთვის ცნობილი იყო, თუ სად იღებდნენ მათ შვილებს.

– ამის შესახებ აბსოლუტურად ყველა მშობელმა იცოდა, რომლებიც დაკავებულები არიან. ყველა მშობელი თვითონ იღებდა თანხას. ხშირ შემთხვევაში, მშობლები თვითონ იჩენდნენ ინიციატივას, რომ ბავშვები უფრო ხშირად გადაეღოთ, – ასეთ ფაქტებსაც ჰქონდა ადგილი. ამ საქმეში ჩართულ ადამიანებს თავიანთი ნაცნობები მოჰყავდათ, ასე ვთქვათ, ერთი წრეა, – თქვა პროკურორმა.

მისივე განმარტებით, ავსტრალიელი ბრალდებული თავის ქვეყანაშიც ამავე ბრალდებით იყო გასამართლებული.

– როგორც ლეხმანი აცხადებს, მსგავსი დანაშაულისთვის ავსტრალიაში ნასამართლევია, ასევეა, ამერიკის მოქალაქეც. ჩვენი ინფორმაციით, მათ რა სასჯელიც იქ მისჯილი ჰქონდათ, მოიხადეს, – აღნიშნა გოგორელიანმა.

მისივე ცნობით, არასრულწლოვანთა პორნოგრაფიული მასალის გავრცელება უკვე მოხდა. აღნიშნული მასალის გადაღება საქართველოში 2017 წლიდან მიმდინარეობდა.

– რეალიზაცია უკვე მოხდა, ვინაიდან ისინი ამით ფინანსურ შემოსავალს იღებდნენ. რეალიზაცია უცხოეთში მოხდა. ამერიკის მოქალაქეს ურიცხავდნენ ანგარიშზე თანხას, რომელსაც ის აძლევდა სხვა ორგანიზატორებს და არასრულწლოვნების მშობლებს.

ფულს ასევე იღებდა ავსტრალიის მოქალაქეც პორნოგრაფიული მასალის გავრცელების შედეგად. ის თვითონ არასრულწლოვნებსაც უხდიდა გარკვეული ოდენობის თანხას. გარკვეული გარემოებებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე ყველა არასრულწლოვანი გამოკითხული არ არის. მათ ფსიქოლოგიური დახმარებაც სჭირდებათ.

მათზე ფიზიკურ იძულებაზე ინფორმაცია არ გვაქვს, მაგრამ საუბარია ძალიან პატარა ასაკის ბავშვებზე. ერთ-ერთი არასრულწლოვანი 5 წლის იყო, როცა მისი ფოტოების გადაღება დაიწყეს. ამ ასაკის ბავშვს საერთოდ არ სჭირდება ფიზიკური ძალადობა, რომ დაიყოლიო გარკვეულ ქმედებაზე. ყველაზე უფროსი 16 წლისაა, – განაცხადა პროკურორმა..

საქმის დეტალებზე საუბრისგან ლეხმანის ადვოკატმა ნინო ტაბატაძემ თავი შეიკავა.

***

არასრულწლოვნების პორნოგრაფიული მასალების დამზადების საქმეზე დაკავებულები გადაღებებისთვის თბილისში ორ ბინას იყენებდნენ. ბინები ვაჟა-ფშაველას გამზირსა და პოლიტკოვსკაიას ქუჩებზე მდებარეობს.

მეზობლების განაცხადებით, დაკავებების შესახებ იციან, თუმცა კონკრეტულად რას ეხება საქმე, მათთვის უცნობია.

– ჩვენთანაც იყო პოლიცია მოსული, დავინახეთ, რომ წაიყვანეს ეს ქალი, მაგრამ გვეგონა, რომ სხვა დანაშაულის გამო დაიჭირეს. ვიცით, რომ ბინა გაქირავებული იყო უცხოელზე, რომელიც ბავშვებთან ერთად ცხოვრობდა აქ. ჩვენ არ ვიცოდით, იქ რა ხდებოდა, – აცხადებენ მეზობლები.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, გენერალური პროკურატურის, ევროპოლის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ავსტრალიის სამართალდამცავი უწყებების თანამშრომლებმა, ერთობლივად გატარებული ინტენსიური ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, არასრულწლოვნის ვაჭრობისა და არასრულწლოვნის გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული ნაწარმის დამზადება-გასაღების ქსელი გამოავლინეს და ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის 11 წევრი დააკავეს.

დაკავებულთაგან 10 პირს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.



# ადვოკატი ველიჯანაშვილი: „მშობლებმა არ იცოდნენ, მათ შვილებს რა ფოტოებს უღებდნენ“



არასრულწლოვანთა პორნოგრაფიისა და ტრეფიკინგის საქმეზე დაკავებული მშობლების ადვოკატის მალხაზ ველიჯანაშვილის განცხადებით, მშობლებისთვის ფოტოსესიის შინაარსი უცნობი იყო.

ადვოკატის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი მშობლები ბრალს არ აღიარებენ.

– ვაცნობიერებთ, როგორია საზოგადოების განწყობა ამ დანაშაულის მიმართ, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ჯერ დანაშაული არავის დამტკიცებია. რაც ბრალდებას აქვს, ის ეჭვია. ამის საპირისპიროდ ჩვენ მტკიცებულებები გვაქვს, რომ მათ არანაირი შემხებლობა სურათების გადაღებასთან არ აქვთ.

ბრალდება ამბობს, რომ მშობლებმა იცოდნენ და ამის სანაცვლოდ რამე გარიგებაში იყვნენ, მსგავსს ადგილი არ ჰქონია. ბრალდება ედავება, რომ ბავშვი მიაქირავეს სურათების გადასაღებად, რისთვისაც ანაზღაურებას იღებდნენ. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფებს მსგავსი დანაშაული არ უდასტურდებათ. მათ არც თანხა აქვთ აღებული და მათთვის ისიც უცნობი იყო, თუ რა სურათებს უღებდა.

თავიდან რაზეც დათანხმდნენ, ეს ფოტოსესია იყო. ეს იყო ჩვეულებრივ სტუდიაში გადაღებული ჩვეულებრივი სურათები. ამის შემდეგ გაგრძელდა ფოტოსესია. მშობლებისთვის უცნობი იყო, შიგნით რა ფოტოსურათების გადაღება ხდებოდა, – აცხადებს ადვოკატი.

მისივე თქმით, რამდენიმე ფოტოსესია ჩატარდა თბილისში, თუმცა გადაღებები ძირითადად გორში მიმდინარეობდა.

ამასთან, ადვოკატი აღნიშნავს, რომ ფოტომასალის გადაღება ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა.

– ორი წლის მანძილზე სულ რამდენიმე ფოტოსესია არის გადაღებული. მშობლები მხოლოდ პირველს დაესწრნენ. ეს ის შემთხვევაა, რომ ეს ადამიანები არ აცნობიერებდნენ, რომ სადმე უნდა გამოქვეყნებულიყო ფოტოები.

უღებდნენ ფოტოებს, რომლებიც ბავშვსაც მოჰქონდა და იმაში არაფერი იყო ისეთი, მშობელს რომ ეჭვი გასჩენოდა. ბავშვი ყოველი ფოტოსესიის შემდეგ ხან „ფეისბუქზე“ დებდა სურათებს, ხან მიჰქონდა და იქ ჩვეულებრივი სურათები იყო. იმის იქით თუ რამე სურათს უღებდნენ და ბავშვიც მალავდა, ეს არ იცოდა მშობელმა, – აცხადებს ადვოკატი მალხაზ ველიჯანაშვილი.

მისივე თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფებს თანხა არ აუღიათ.

# პროკურორი ნანა ჯაყელი: „ლევან ჯიბღაშვილთან საპროცესო შეთანხმება ჯერ არ გაფორმებულა“



ნარკოდანაშაულში ბრალდებული მსახიობის, ლევან ჯიბღაშვილის, ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე, პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით, მოლაპარაკება კვლავ მიმდინარეობს.

20 სექტემბერს სასამართლო სხდომაზე საქმის პროკურორმა ნანა ჯაყელმა განაცხადა, რომ დაცვის მხარეს მათთვის ამ საკითხთან დაკავშირებით მიმართული აქვს, თუმცა, ამ ეტაპზე შეთანხმება მიღწეული არ არის.

სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარემ შესავალი სიტყვა წარმოთქვა. პროკურორმა ასევე, ქიმიურტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა წარმოადგინა, რომელიც საქმეს მტკიცებულების სახით დაერთო.

სასამართლო პროცესი დაცვის მხარის შესავალი სიტყვის ეტაპზე ადვოკატის შუამდგომლობით გადაიდო.

შემდეგი სასამართლო სხდომა 10 ოქტომბერს, 17:00 საათზე გაიმართება.

ლევან ჯიბღაშვილი თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, 10.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ არის გათავისუფლებული.

ის სამართალდამცავებმა 21 აპრილს დააკავეს. მისი ავტომობილის ჩრეკისას სამართალდამცავებმა 0.5 გრამი კოკაინი და 2 ნატეხი ტაბლეტი ე.წ. კლუბური ნარკოტიკი ამოიღეს.

ჯიბღაშვილს ბრალი სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილით წარუდგინეს, რაც დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვას გულისხმობს. აღნიშნული დანაშაული 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# თერჯოლაში 14 წლის მოზარდმა თავი მოიკლა



## ახლობლები ამას „ლურჯ ვეშაპს“ უკავშირებენ

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოგნარში 14 წლის მოზარდის სუიციდის ფაქტს, ახლობლები ინტერნეტ თამაშ – „ლურჯ ვეშაპს“ უკავშირებენ.

როგორც სკოლის დირექტორი ამირან ელიავა აცხადებს, სუიციდის ზუსტი მიზეზი უცნობია, თუმცა ეჭვი არსებობს რაღაც თამაშზე.

– წაიღეს კომპიუტერი, გუშინ დაკითხეს ბავშვები, სანამ არ იქნება ოფიციალური პასუხი, ვერ გეტყვით. აქვთ ეჭვი თამაშზე, დეტალურად არ იციან, საქმე არის ძიებაში. ძალიან კარგი მოსწავლე იყო, პრობლემებიც არ ჰქონდა, – განაცხადა ამირან ელიავამ.

14 წლის ლ.ბ.-ს ცხედარი ბებია-ბაბუამ იპოვა.

– უნდა აიკრძალოს ეს საშინელი თამაში, ამბობენ, ლურჯი ვეშაპიაო. ძალიან ჭკვიანი, უნიჭიერესი ბავშვია. დაზუსტებით არავინ იცის, რეალურად ითამაშა თუ არა ეს თამაში, – აცხადებს გარდაცვლილის მეზობელი.

გამოძიება 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

გამოძიება ყველა მიმართულებით მუშაობს.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

# რუსეთის პოლიციამ ბურიატელი შამანი დააპატიმრა

## „პუტინი კრემლიდან უნდა გავაძევო“



ჯერ კიდევ მაისში ბურიატიელი შამანი, გვარადა გაბიშევი, მოსკოვისკენ ფეხით გაემართა. მისი მიზანი კრემლიდან ვლადიმერ პუტინის გაძევება იყო.

— პუტინი ბნელეთის მოციქულია. მეც მოსკოვში ფეხით მივდივარ, რათა კრემლიდან გამოვაძევო, — ამბობდა ის.

შამანი რუსულ მედიას ინტერვიუებს სისტემატურად აძლევდა. მან თქვა, რომ ხალხს პუტინი აღარ უნდა; მალე მოსკოვის ქუჩებში ასეულობით ათასი ადამიანი გამოვა; ანტისამთავრობო აქციები რუსეთის პროვინციაშიც გაიმართება, მათ შორის ჩემს მშობლიურ ბურიატიაშიცო.

რუსი ჟურნალისტები შამანს დასცინოდნენ, მაგრამ მალე სასაცილოდ საქმე აღარ შეექმნათ. მოსკოვში მართლაც საპროტესტო აქციები დაიწყო. შამანმა აქციების დაწყების დრო ზუსტად გამოიცნო: 2019 წლის აგვისტო. გამართლდა მისი მეორე პროგნოზიც — აქციები არა მხოლოდ მოსკოვში, არამედ რუსეთის პროვინციებში, მათ შორის მშობლიურ ბურიატიაშიც გაიმართებაო. ასეც მოხდა. ბურიატიის დედაქალაქ ულან-უდეში ანტისამთავრობო მიტინგები გაიმართა.

შამანი კი მოსკოვისაკენ გზას განაგრძობდა. ქალაქებსა თუ სოფლებში მას ლოცავდნენ. ჩიტაში 70.000-იანი მიტინგი შეკრიბა. სიტყვებს, პუტინი კრემლიდან უნდა გავაძევოთო, მქუხარე აპლოდისმენტები მოჰყვა. გაისმა სკანდირება:

— პუტინ ხუილო!

გაბიშევი აპლოდისმენტებით გააცილეს. ამან ხელისუფლება შეაშფოთა. ფსბ-ს ოპერმუშაკები შამანს მანქანებით აედევნენ. ერთხანს არას ერჩოდნენ, მხოლოდ ფოტოებს უღებდნენ. 2019 წლის 19 სექტემბერს კი ნიღბიანმა სპეცრაზმელებმა, რომლებიც ავტომატებითა და ხელკეტებით იყვნენ შეიარაღებულნი, იერიში მიიტანეს კარვების ბანაკზე, სადაც შამანი იმყოფებოდა.

გაბიშევი წააქციეს, ხელბორკილი დაადეს, შემდეგ მანქანისაკენ წაათრიეს.

მალე რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, მოქალაქე გაბიშევი დაპატიმრებულიაო. ის ულან-უდეში გადაიყვანეს. მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

— პუტინს შეეშინდა, შამანმა მართლა არ დამამხოსო, — ასეთია რუსული ოპოზიციის ლიდერ ნავალნის კომენტარი.

# აშშ ანტიირანულ კოალიციას ქმნის



აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო საუდის არაბეთისა და გაერთიანებული საემიროების ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდა. ამის შემდეგ მან სენსაციური განცხადება გააკეთა:

— ახლა უკვე დანამდვილებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საუდის არაბეთის ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებზე თავდასხმა ირანის ორგანიზებულია!

ამავე დროს, პომპეომ ხაზი გაუსვა, რომ აშშ მშვიდობის მომხრეა.

— ირანი აგრესიულ რიტორიკას არ ეშვება და ომით გვემუქრება! აშშ კი მშვიდობისთვის იბრძვის, — ამბოს პომპეო.

მან აღნიშნა, რომ შეიქმნება ანტიირანული კოალიცია, რომლის მიზანიც ირანის განეიტრალება იქნება.

კოალიციაში შესვლის სურვილი უკვე გამოთქვეს საუდის არაბეთმა, გაერთიანებულმა საემიროებმა, დიდმა ბრიტანეთმა და ბახრეინმა.

უახლოეს მომავალში კოალიციის გაფართოებაა მოსალოდნელი.

# განცისა და ნეტანიაჰუს შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა



ისრაელის მოქმედი პრემიერი და პარტია „ლიკუდის“ ლიდერი ნეტანიაჰუ ოპოზიციის ლიდერ განცს შეხვდა.

ნეტანიაჰუმ არჩევნებში გაიმარჯვა, მაგრამ მოპოვებული ხმები საშუალებას არ აძლევს, მთავრობა ჩამოაყალიბოს. პრემიერმაც განცს კოალიციური კაბინეტის შექმნა შესთავაზა. განცმა უარი უთხრა.

— მთავრობას დამოუკიდებლად ჩამოვაყალიბებ, — თქვა განცმა.

# ხანძარი გროზნოში



გროზნოში სავაჭრო ცენტრ „გრანდ პარკს“ ცეცხლი გაუჩნდა. ხანძარი მეორე სართულზე მდებარე ერთ-ერთ მაღაზიაში გაჩნდა, შემდეგ კი სხვა შენობებსაც მოედო.

მთელი სავაჭრო ცენტრი ცეცხლში გაეხვია.

მეხანძრეებმა ცეცხლის ჩაქრობა მხოლოდ საღამოს შეძლეს.

მსხვერპლი არ არის.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# გოგონამ მძარცველი მაღაზიიდან პურის სროლით გააგდო



დიდ ბრიტანეთში შეიარაღებული მამაკაცი სუპერმარკეტში შეიჭრა და ფული მოითხოვა, მაგრამ, მას შემდეგ, რაც 11 წლის გოგონამ პურის სროლა დაუწყო, გაიქცა.

დანით შეიარაღებული ნიღბიანი მამაკაცი დასავლეთ სუსექსის საგრაფოში მდებარე სუპერმარკეტში შევარდა და თანამშრომელს ფული მოსთხოვა. ეს 11 წლის გოგონამ შენიშნა და მძარცველს სხვადასხვა ნივთის, მათ შორის პურისა და ბოთლების სროლა დაუწყო. თავდამსხმელი ამას არ მოელოდა და მაღაზიიდან ხელცარიელი გაიქცა.

ამ ინციდენტის შედეგად სუპერმარკეტში არავინ დაშავებულა. პოლიცია ბოროტმოქმედს ეძებს და შიშობს, რომ მან შესაძლოა ისევ ცადოს მაღაზიის გაძარცვა. პოლიციამ მომხდარის თვითმხილველები დაკითხა და სათვალთვალო კამერების ჩანაწერები ნახა. ეჭვმიტანილს მწვანე სპორტული კაპიუშონიანი ქურთუკი, ლურჯი ჯინსები ეცვა, შავი ბეისბოლის ქუდი ეხურა, სახე კი ყელსახვევით ჰქონდა დაფარული.

ცეკვის აკადემია
თელა
გიწვევთ
თანამედროვე და სამეჯლისო
ცეკვების შესასწავლად



ჯგუფები იმუშავებენ ასაკობრივი დაყოფით: 30-45 წლის ახალგაზრდები, 45-60 წლის ჭარმაგები, 60 წლის ზევით სენიორები.
ჩაწერა იწარმოებს 20 აგვისტოდან.
მისამართი: აკაკი წერეთლის 126.
ტელ: 599-77-80-08 235-52-75
Email: academytela@yahoo.com

# საჭმლის გამო ქალებმა ქორწილში იჩხუბეს



ინდონეზიაში ორმა ქალმა ქორწილში საჭმლის გამო იჩხუბა. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

კადრებში ჩანს, თუ როგორ არკვევს ერთმანეთში ურთიერთობას ორი საზეიმოდ გამოწყობილი ქალბატონი. წითელ სამოსში გამოწყობილმა ქალმა მის წინ მდგომი მწვანე ფერის სამოსიანი ქალი იმაში დაადანაშაულა, რომ მან მეტისმეტად ბევრი რენდანგა გადაიღო. ეს არის ინდონეზიური ეროვნული კერძი, რომელიც საქონლის ხორცისგანაა დამზადებული. მას დიდხანს თუშავენ ცხარე სოუსში, რომელიც ქოქოსის რძეზეა დამზადებული.

— შენ უტაქტო და უსირცხვილო ქალი ხარ. რა, მაგით მთელი სოფელი უნდა დაანაყრო? — მიმართა წითელკაბიანმა. ამაზე მწვანეკაბიანმა უპასუხა, რომ, რასაც მოისურვებდა, იმას გააკეთებდა, ის კი თავის რიგს უნდა დალოდებოდა.

ქალებმა ერთმანეთს ხელისკვრა დაუწყეს. მათი დამშვიდება ქორწილის ერთ-ერთმა სტუმარმა ცადა, მაგრამ მწვანეკაბიანმა მას დაარტყა და შემდეგ ისევ წითელკაბიანს დაეტაკა.

# გოგონას მიერ ყოფილი შეყვარებულის წერილების დაწვას ბინა შეეწირა



ამერიკის ნებრასკის შტატის ქალაქ ლინკოლნში გოგონა შეეცადა, თავისი ყოფილი შეყვარებულის წერილები დაეწვა და ბინაში ხანძარი გააჩინა.

19 წლის არიანა ჩანტელ ლილარდი აივანზე გავიდა და შეეცადა, წერილების შეკვრისთვის ცეცხლი წაეკიდებინა, მაგრამ, მას შემდეგ, რაც ეს ვერ მოახერხა, წერილები იატაკზე დაგებულ ხალიჩაზე მოისროლა და თვითონ წათვლიმა.

მალე გოგონა დამწვრის სუნმა გამოაღვიძა. ცეცხლი ხალიჩას ჰქონდა მოკიდებული. მან სახანძრო დახმარება გამოიძახა. საბედნიეროდ, მეხანძრეები შემთხვევის ადგილზე მალე მივიდნენ და ხანძარი ჩააქრეს. არავინ დაშავებულა.

ხელისუფლების შეფასებით, მრავალბინიანი სახლისთვის მიყენებულმა ზარალმა ოთხი ათასი დოლარი შეადგინა. ლილარდის გაუფრთხილებლობით ხანძრის გაჩენის ბრალდება წაუყენეს. მის საქმეს სასამართლო განიხილავს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


# განცხადებები

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● დიაბეტური დაავადებების, ხერხემლის გამრუდების, ბავშვებში ბრტყელტერფიანობის, ყურებში შუილის, სმენის დაქვეითების მკურნალობა. მოგემსახურებათ გაეროს სერტიფიკატის მფლობელი ექიმი თამარ შავერდოვა. ტელ: 579-281-766..

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი — სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართანებისმიერიპრობლემისმოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● ალკოჰოლიზმის მკურნალობა მცენარეული საშუალებებით (შეგიძლიათ შეურიოთ საკვებში ფარულად) „პახმელია“, ზაპოი“, ნერვული აღგზნებულობა, ღვიძლის პრობლემები (ციროზი) და სხვა — მხოლოდ მცენარეული და ფუტკრის პროდუქტებით. ტელ: 599-45-88-66; 597-98-95-99; 557-35-22-65. სერტიფიცირებული ექიმი, ფიტოთერაპევტი ნინო. მისამართი: ჭავჭავაძის 3, ალმაშენებელზე.

# შალვა სუთიაშვილი: „აღარ ვართ პატარა გუნდი“



## საქართველო უელსთან სათამაშოდ ემზადება

იაპონიაში 2019 წლის მსოფლიო თასი დაიწყო, 2 დღეში კი მასში ბორჯღალოსნები ჩაერთვებიან და ტოიოტაში უელსის ნაკრებს ერკინებიან.

ჩვენი გუნდი 9 სექტემბრიდან ამომავალი მზის ქვეყანაში იმყოფება და მზადების დასკვნით ეტაპი ტოკუშიმაში გაიარა.

**შალვა სუთიაშვილი:**

— დიდი შეკრების ბოლო ეტაპი იაპონიაში, ტოკუშიმას პრეფექტურაში გავიარეთ. ეს იყო მსოფლიო თასისთვის მზადების ბოლო ეტაპი. აქ ნაკლებად გვქონდა დამღლელი ვარჯიშები. აქცენტი ტექნიკური და ტაქტიკური ელემენტების დახვეწაზე კეთდებოდა და საკმაოდ შედეგიანი, ნაყოფიერი პერიოდი გავიარეთ. გვქონდა ერთობლივი ვარჯიში ადგილობრივ გუნდთან, რომლის დროსაც აქცენტი იმ კომპონენტებზე გაკეთდა, რაც ჩვენ გვსურდა. ფორვარდებმა შერკინებაზე, დერეფანში თამაშსა და მოლებზე, ხოლო ხაზის მოთამაშეებმა თავისი კომბინაციების დახვეწაზე იმუშავეს, რის შემდეგაც 10-15 წუთიანი მატჩი გვქონდა.

35 წლის მორაგბე, რომელსაც 2011 და 2015 წლის მსოფლიო თასებზე უთამაშია, თვლის, რომ ხანგრძლივი, 3-თვიანი მოსამზადებელი ეტაპის შემდეგ, გუნდი სასურველ კონდიციაშია და უელსთან მატჩს მომზადებული ხვდება:

— ამდენი შრომის შემდეგ, ვფიქრობთ, იმ ფორმაში ვართ, როგორშიც გვსურდა უელსთან მატჩისთვის ვყოფილიყავით. თავს ყველა კარგად გრძნობს და შედარებაც არაა იმ პერიოდთან, როდესაც საუზერნ კინგსთან და ორჯერ შოტლანდიის ნაკრებთან მოსამზადებელი თამაშები გვქონდა. ხანგრძლივი ფიზმომზადების შემდეგ, ამ მატჩებს დაღლილები შევხვდით, რაც იმ პერიოდისთვის ნორმალური იყო. მას შემდეგ აღდგენის პერიოდი გავიარეთ და ახლა ყველა იმ ენერგიაზე ვართ, რაც გათვალისწინებული იყო.

სუთიაშვილი დარწმუნებულია, რომ უელსი საქართველოს ნაკრებთან თამაშისთვის განსაკუთრებულად ემზადება, მით უმეტეს, რომ მათ კარგად ახსოვთ ბორჯღალოსნებთან პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი რკენა კარდიფში, 2017 წელს, სადაც გაწითლებულ დროზე გაშვებულ ლელოს გადაურჩნენ და 13:6 იმარჯვეს, თუმცა სარაგბო სამყაროსგან კრიტიკის ობიექტები გახდნენ:

— აღარ ვართ ისეთი პატარა გუნდი, რომ უელსმა არ გაგვითვალისწინოს. როგორც ვიცით, ისინი ისევე სერიოზულად ემზადებიან ჩვენთან სათამაშოდ, როგორც შოტლანდია ემზადებოდა. უიმედოდ არც ჩვენ ვართ, მით უმეტეს, რომ 2017 წელს კარდიფში საკმაოდ დრამატული თამაში გვქონდა.

ვფიქრობ, ეს შეხვედრა უელსელთა მეხსიერებაშიცაა ჩარჩენილი, რადგან ისინი ყველამ გააკრიტიკა, განსაკუთრებით მწვრთნელები. ველოდებით აგრესიულ, დაძაბულ თამაშს, სადაც ორივე გუნდი მაქსიმალურად მონდომებული იქნება. უელსელები ეცდებიან, ორი წლის წინანდელი კრიტიკის შემდეგ მსოფლიოს დაანახონ, რომ მეტი შეუძლიათ, თუმცა იოლად არაფერს დავთმობთ და ბოლომდე ვიბრძოლებთ.

ბორჯღალოსნები უელსის ნაკრებს 23 სექტემბერს, ქალაქ ტოიოტაში 14:15 საათზე ეთამაშებიან.

# უქმეებზე მილანური დერბია — მადონინა

საინტერესო უქმეები ელოდება ფეხბურთის მოყვარულებს. მთავარი ეპიცენტრი მილანშია, სადაც მორიგი მადონინა გაიმართება — მილანი-ინტერი.

არანაკლებ საინტერესო შეხვედრაა ლონდონში, სადაც ჩელსი ლივერპულს უმასპინძლებს. ასევე საინტერესო უნდა გამოდგეს ესპანეთში სევილია-რეალის დაპირისპირება, ხოლო საფრანგეთში — ლიონისა და პსჟ-ს შეხვედრა.

## სტატისტიკა, ფსონები



### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 21.09 ლესტერი-ტოტენჰემი | 2.90 | 3.50 | 2.40 |
| 21.09 ევერტონი-შეფილდი | 1.65 | 3.80 | 5.50 |
| 21.09 სიტი-უოტფორდი | 1.12 | 9.75 | 20.00 |
| 21.09 ბარნლი-ნორვიჩი | 1.95 | 3.75 | 3.65 |
| 21.09 ნიუკასლი-ბრაიტონი | 2.55 | 3.10 | 3.00 |
| 22.09 ვესტ ჰემი-მანჩესტერი | 3.25 | 3.70 | 2.10 |
| 22.09 კრ.პალასი-ვულვზი | 2.75 | 3.10 | 2.80 |
| 22.09 არსენალი-ასტონ ვილა | 1.40 | 5.00 | 6.75 |
| 22.09 ჩელსი-ლივერპული | 3.60 | 3.80 | 1.95 |

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 5 | 5 | 0 | 0 | 15-4 | 15 |
| 2.სიტი | 5 | 3 | 1 | 1 | 16-6 | 10 |
| 3.ტოტენჰემი | 5 | 2 | 2 | 1 | 11-6 | 8 |
| 4.მანჩესტერი | 5 | 2 | 2 | 1 | 8-4 | 8 |
| 5.ლესტერი | 5 | 2 | 2 | 1 | 6-4 | 8 |
| 6.ჩელსი | 5 | 2 | 2 | 1 | 11-11 | 8 |
| 7.არსენალი | 5 | 2 | 2 | 1 | 8-8 | 8 |
| 8.ვესტ ჰემი | 5 | 2 | 2 | 1 | 6-7 | 8 |
| 9.ბორნმუთი | 5 | 2 | 1 | 2 | 8-9 | 7 |
| 10.საუთჰემპტონი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-6 | 7 |
| 11.ევერტონი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-7 | 7 |
| 12.კრ.პალასი | 5 | 2 | 1 | 2 | 3-6 | 7 |
| 13.ნორვიჩი | 5 | 2 | 0 | 3 | 9-12 | 6 |
| 14.ბარნლი | 5 | 1 | 2 | 2 | 6-7 | 5 |
| 15.შეფილდი | 5 | 1 | 2 | 2 | 5-6 | 5 |
| 16.ბრაიტონი | 5 | 1 | 2 | 2 | 5-8 | 5 |
| 17.ასტონ ვილა | 5 | 1 | 1 | 3 | 4-6 | 4 |
| 18.ნიუკასლი | 5 | 1 | 1 | 3 | 4-8 | 4 |
| 19.ვულვზი | 5 | 0 | 3 | 2 | 6-10 | 3 |
| 20.უოტფორდი | 5 | 0 | 2 | 3 | 4-10 | 2 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 21.09 ფრაიბურგი-აუგსბურგი | 1.90 | 3.75 | 3.85 |
| 21.09 ჰერტა-პადერბორნი | 1.75 | 4.15 | 4.25 |
| 21.09 ლევერკუზენი-უნიონი | 1.35 | 5.25 | 7.50 |
| 21.09 ბაიერნი-კიოლნი | 1.12 | 9.25 | 17.75 |
| 21.09 ვერდერი-ლაიფციგი | 4.20 | 4.20 | 1.75 |
| 22.09 გლადბახი-ფორტუნა | 1.60 | 4.30 | 5.00 |
| 22.09 აინტრახტი-დორტმუნდი | 4.25 | 4.25 | 1.75 |
| 23.09 ვოლფსბურგი-ჰოფენჰაიმი | 1.95 | 3.90 | 3.60 |

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლაიფციგი | 4 | 3 | 1 | 0 | 10-3 | 10 |
| 2.დორტმუნდი | 4 | 3 | 0 | 1 | 13-5 | 9 |
| 3.ფრაიბურგი | 4 | 3 | 0 | 1 | 10-3 | 9 |
| 4.ბაიერნი | 4 | 2 | 2 | 0 | 12-4 | 8 |
| 5.ვოლფსბურგი | 4 | 2 | 2 | 0 | 7-3 | 8 |
| 6.შალკე | 4 | 2 | 1 | 1 | 8-4 | 7 |
| 7.გლადბახი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-4 | 7 |
| 8.ლევერკუზენი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-7 | 7 |
| 9.აინტრახტი | 4 | 2 | 0 | 2 | 5-5 | 6 |
| 10.ვერდერი | 4 | 2 | 0 | 2 | 8-9 | 6 |
| 11.ჰოფენჰაიმი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-6 | 4 |
| 12.ფორტუნა | 4 | 1 | 1 | 2 | 6-7 | 4 |
| 13.უნიონი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-8 | 4 |
| 14.აუგსბურგი | 4 | 1 | 1 | 2 | 6-10 | 4 |
| 15.კიოლნი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-7 | 3 |
| 16.მაინცი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-13 | 3 |
| 17.პადერბორნი | 4 | 0 | 1 | 3 | 5-12 | 1 |
| 18.ჰერტა | 4 | 0 | 1 | 3 | 3-10 | 1 |

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 21.09 ვილიარეალი-ვალიადოლიდი | 1.60 | 4.10 | 5.50 |
| 21.09 ლევანტე-ეიბარი | 2.25 | 3.55 | 3.10 |
| 21.09 ატლეტიკო-სელტა | 1.45 | 4.35 | 8.00 |
| 21.09 გრანადა-ბარსელონა | 9.00 | 5.50 | 1.35 |
| 22.09 ხეტაფე-მალიორკა | 1.85 | 3.25 | 5.25 |
| 22.09 ესპანიოლი-სოსიედადი | 2.95 | 3.15 | 2.55 |
| 22.09 ვალენსია-ლეგანესი | 1.60 | 3.85 | 6.00 |
| 22.09 ბილბაო-ალავესი | 1.65 | 3.55 | 6.00 |
| 22.09 სევილია-რეალი | 2.70 | 3.75 | 2.45 |

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სევილია | 4 | 3 | 1 | 0 | 5-1 | 10 |
| 2.ატლეტიკო | 4 | 3 | 0 | 1 | 5-4 | 9 |
| 3.რეალი | 4 | 2 | 2 | 0 | 9-6 | 8 |
| 4.ბილბაო | 4 | 2 | 2 | 0 | 4-1 | 8 |
| 5.ბარსელონა | 4 | 2 | 1 | 1 | 12-7 | 7 |
| 6.გრანადა | 4 | 2 | 1 | 1 | 9-5 | 7 |
| 7.სოსიედადი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-3 | 7 |
| 8.ლევანტე | 4 | 2 | 0 | 2 | 6-5 | 6 |
| 9.ოსასუნა | 4 | 1 | 3 | 0 | 4-3 | 6 |
| 10.ვილიარეალი | 4 | 1 | 2 | 1 | 10-8 | 5 |
| 11.ალავესი | 4 | 1 | 2 | 1 | 2-2 | 5 |
| 12.სელტა | 4 | 1 | 1 | 2 | 3-6 | 4 |
| 13.ვალენსია | 4 | 1 | 1 | 2 | 5-7 | 4 |
| 14.ვალიადოლიდი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| 15.მალიორკა | 4 | 1 | 1 | 2 | 2-4 | 4 |
| 16.ბეტისი | 4 | 1 | 1 | 2 | 6-9 | 4 |
| 17.ესპანიოლი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-6 | 4 |
| 18.ხეტაფე | 4 | 0 | 3 | 1 | 3-4 | 3 |
| 19.ეიბარი | 4 | 0 | 1 | 3 | 4-7 | 1 |
| 20.ლეგანესი | 4 | 0 | 0 | 4 | 1-7 | 0 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 21.09 უდინეზე-ბრეშა | 1.90 | 3.60 | 4.10 |
| 21.09 იუვენტუსი-ვერონა | 1.16 | 7.50 | 19.75 |
| 21.09 მილანი-ინტერი | 3.30 | 3.25 | 2.25 |
| 22.09 სასუოლო-სპალი | 2.00 | 3.60 | 3.75 |
| 22.09 ლეჩე-ნაპოლი | 8.00 | 5.00 | 1.35 |
| 22.09 ბოლონია-რომა | 2.75 | 3.60 | 2.45 |
| 22.09 სამპდორია-ტორინო | 2.55 | 3.40 | 2.75 |
| 22.09 ატალანტა-ფიორენტინა | 2.00 | 3.75 | 3.50 |
| 22.09 ლაციო-პარმა | 1.30 | 5.50 | 9.25 |

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 3 | 3 | 0 | 0 | 7-1 | 9 |
| 2.ბოლონია | 3 | 2 | 1 | 0 | 6-4 | 7 |
| 3.იუვენტუსი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-3 | 7 |
| 4.ნაპოლი | 3 | 2 | 0 | 1 | 9-7 | 6 |
| 5.ატალანტა | 3 | 2 | 0 | 1 | 7-6 | 6 |
| 6.ტორინო | 2 | 2 | 0 | 0 | 6-5 | 6 |
| 7.მილანი | 3 | 2 | 0 | 1 | 2-1 | 6 |
| 8.რომა | 3 | 1 | 2 | 0 | 8-6 | 5 |
| 9.ლაციო | 3 | 1 | 1 | 1 | 5-3 | 4 |
| 10.ჯენოა | 3 | 1 | 1 | 1 | 6-6 | 4 |
| 11.ვერონა | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 12.სასუოლო | 3 | 1 | 0 | 2 | 7:7 | 3 |
| 13.კალიარი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-4 | 3 |
| 14.პარმა | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| 15.სპალი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |
| 16.ბრეშა | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |
| 17.უდინეზე | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| 18.ლეჩე | 3 | 1 | 0 | 2 | 2-6 | 3 |
| 19.ფიორენტინა | 3 | 0 | 1 | 2 | 4-6 | 1 |
| 20.სამპდორია | 3 | 0 | 0 | 3 | 1-9 | 0 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 21.09 მარსელი-მონპელიე | 1.95 | 3.40 | 4.15 |
| 21.09 მეცი-ამიენი | 2.10 | 3.05 | 4.10 |
| 21.09 ნიცა-დიჟონი | 1.75 | 3.70 | 5.00 |
| 21.09 ბორდო-ბრესტი | 1.75 | 3.50 | 4.95 |
| 21.09 ნიმი-ტულუზა | 2.00 | 3.50 | 3.70 |
| 21.09 რეიმსი-მონაკო | 2.60 | 3.15 | 2.85 |
| 22.09 რენი-ლილი | 2.50 | 3.10 | 3.00 |
| 22.09 ანჟე-სტ.ეტიენი | 2.15 | 3.35 | 3.55 |
| 22.09 ლიონი-პსჟ | 3.75 | 4.15 | 1.85 |

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 5 | 4 | 0 | 1 | 11-2 | 12 |
| 2.რენი | 5 | 3 | 1 | 1 | 6-3 | 10 |
| 3.ნანტი | 5 | 3 | 1 | 1 | 5-3 | 10 |
| 4.მარსელი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-6 | 10 |
| 5.ლილი | 5 | 3 | 0 | 2 | 7-5 | 9 |
| 6.ნიცა | 5 | 3 | 0 | 2 | 8-7 | 9 |
| 7.ანჟე | 5 | 3 | 0 | 2 | 9-9 | 9 |
| 8.ლიონი | 5 | 2 | 2 | 1 | 12-4 | 8 |
| 9.ბორდო | 5 | 2 | 2 | 1 | 7-5 | 8 |
| 10.ტულუზა | 5 | 2 | 2 | 1 | 6-7 | 8 |
| 11.რეიმსი | 5 | 2 | 1 | 2 | 4-2 | 7 |
| 12.მონპელიე | 5 | 2 | 1 | 2 | 4-4 | 7 |
| 13.ბრესტი | 5 | 1 | 3 | 1 | 3-5 | 6 |
| 14.ნიმი | 5 | 1 | 2 | 2 | 6-7 | 5 |
| 15.სტ.ეტიენი | 5 | 1 | 2 | 2 | 5-8 | 5 |
| 16.ამიენი | 5 | 1 | 1 | 3 | 5-8 | 4 |
| 17.მეცი | 5 | 1 | 1 | 3 | 4-8 | 4 |
| 18.სტრასბური | 5 | 0 | 3 | 2 | 3-6 | 3 |
| 19.მონაკო | 5 | 0 | 2 | 3 | 7-14 | 2 |
| 20.დიჟონი | 5 | 0 | 1 | 4 | 1-7 | 1 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# სამგლოვიარო განცხადებები



და ნინო საღლიანი, ძმები ზეზვა, ბეთქილ, ზვიად, შერგილ საღლიანები, ბიძაშვილები ერეკლე, მანანა, ლელა, ლილე, თეა, ხათუნა, ლილი, გუნტერ საღლიანები, ძმისშვილები დემნა, გიორგი, მარიამ, ანა, ანრი, ეთერ, მარიამ, გიორგი, ერეკლე, სანდრო საღლიანები, რძლები ქეთინო მინდორაშვილი, თამრიკო საღლიანი, ინგა ლიპარტელიანი, მარინე შერმადინი, მადონა გერლიანი, სოფია სართანია, მზია საღლიანი, სიძეები გოგი ჩხარტიშვილი, ზაზა თოიძე, გოჩა შამფრიანი, ნიკა სარდლიშვილი, გიორგი ილაშვილი, თამაზ ერაძე, დათო ანსიანი, მამიდები რიდა, ეთერ საღლიანები, ბიძა გრიშა საღლიანი, მამიდაშვილები ალუდა, ლუარა, ლალი გურჩიანები, მამუკა, კობა ჩხარტიშვილები, მონიკა, ანა, ლუკა შამფრიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვალერიან (ვალიკო) ვასოს ძე საღლიანი**

პანაშვიდი: 20 და 21 სექტემბერს;
დაკრძალვა: 22 სექტემბერს, 14 საათზე;
მისამართი: სოლოლაკი, ამაღლების ქუჩა, ამაღლების სახელობის ტაძრიდან.



ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი გეოფიზიკოსი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დარგში, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მყარ დედამიწაში მიმოქცევითი მოვლენების დაკვირვებებისათვის სპეციალურად აღჭურვილი ლაბორატორიის დამაარსებელი, მიმოქცევითი აპარატურის უნიფიკაციის საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, თსუ მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის დედამიწისა და გეომაგნეტიზმის სექტორის ყოფილი ხელმძღვანელი, 2018 წლიდან ინსტიტუტის კონსულტანტი გრავიმეტრიის დარგში

**კარლო ქართველიშვილი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# სელაპი პოლიციას კონტრაბანდისტების დაჭერაში დაეხმარა

მოზრდილი სელაპი ავსტრალიელ პოლიციელებს კონტრაბანდისტების დაჭერაში დაეხმარა, რომლებსაც ნარკოტიკები გადაჰქონდათ.

51 წლის ფრანგმა ანტუან დისენტამ და 34 წლის ბრიტანელმა გრემ პალმერმა ინდოეთის ოკეანე იახტით გადაცურეს, რომელზეც დაახლოებით მილიარდი დოლარის ნარკოტიკები იყო დატვირთული. ავსტრალიის სანაპიროსთან ისინი მეჩეჩზე შესხდნენ, სამაშველო ნავი ჩაუშვეს წყალში და უახლოესი კუნძულისკენ გაცურეს.

იქ კონტრაბანდისტები ადგილობრივმა კიბორჩხალებზე მოთევზავეებმა შენიშნეს. მათი ყურადღება იმან მიიქცია, რომ უცნობი პირები სამაშველო სამსახურის თვითმფრინავის გამოჩენის დროს თავს ბუჩქებს აფარებდნენ და პოლიცია გამოიძახეს.

როდესაც პოლიციამ კუნძულამდე მიაღწია, კონტრაბანდისტები მათი დანახვისთანავე ნავისკენ გაიქცნენ, რა დროსაც მოზრდილი სელაპი გაალვიძეს, რომელსაც იქვე ეძინა.

— ის წამოხტა, მკერდი წინ გამოსწია და აღრიალდა, — განაცხადა ერთ-ერთმა მაშველმა, — ამ ორს ორი არჩევანი ჰქონდა, ან ცხოველს თავზე გადახტომოდნენ, ან დანებებულიყვნენ. მათ დანებება გადაწყვიტეს.

კუნძულზე პოლიციამ ერთ ტონამდე ნარკოტიკები აღმოაჩინა, რომელიც ნაწილობრივ წყალმცენარეებით იყო დაფარული.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ფრანგული პური; 2. მოკლებეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 3. ინდოეთის ეროვნული გმირი; 5. აეროპორტი თელავივში; 6. ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი; 8. საქართველოს თავდაცვის მინისტრი; 11. ოლქი ირანში; 13. გრეიფუტის ქართული სახელწოდება; 14. ძლიერმოქმედი ნარკოტიკი; 15. მობილური კავშირგაბმულობის სისტემა საქართველოში; 19. მცოცავი ხვიარა მარადმწვანე მცენარე.

**თარაზულად:** 1. გერმანიის პარლამენტი; 4. მთიანეთი აშშ-ში; 7. ჭადრაკის პარტიის დასაწყისი პაიკის ან ფიგურის შეწირვით; 9. მწერიჭამია ჭაობის მცენარე; 10. გეომეტრიული ფიგურა; 12. პირველი გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის სახელწოდება; 16. რაიონული ცენტრი გურიაში; 17. შუაკაცი მოდავეთა შორის, მედიატორი; 18. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 20. მზის სისტემის პლანეტა; 21. კოღოს ძველი ქართული სახელწოდება; 22. პოპულარული ირლანდიური ჯინი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. შოტლანდია; 2. მაჩაიძე; 3. ბოლიდი; 4. მარკა; 5. პრაიდი; 11. ტირადა; 12. ნევადა; 14. თექა; 16. ენოთეკა; 17. ჰერმესი; 19. ნიქოზია; 21. მამნე; 22. ჰალვა.

**თარაზულად:** 6. კოლორადო; 7. კვაზარი; 8. კასიო; 9. კაბუკი; 10. დელტა; 13. სიათა; 15. თედიაშვილი; 18. კარდენი; 20. ელია; 21. მწყერი; 23. მარსელიოზა; 24. სეგუნი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დევიზა; 2. ტონიკი; 3. იმედი; 5. არვე; 6. დუქანი; 8. მინდია; 11. პანკრეასი; 13. გრეგორი; 14. ბედუინი; 15. კარტელი; 19. ლომი.

**თარაზულად:** 1. დეპორტაცია; 4. პეტარდა; 7. ვატმანი; 9. დამიანე; 10. ოპეკი; 12. ფედერერი; 16. საქსონია; 17. თეორემა; 18. თურაშაული; 20. სტალონე; 21. ჯიპი; 22. მელქიორი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


21 სექტემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9759

ევრო — 3.2860

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7223

100 რუსული რუბლი — 4.6406

## ამინდის პროგნოზი 21 სექტემბერი





## 1 ოქტომბრიდან

რევაზ მიშველაძე
რჩეული ნოველები
ორტომეული
ტომი 2




ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

## 24 სექტემბრიდან




თენგიზ პაპუაშვილი
საინგილო

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი


## ნიკოლოზ ლაგვილავა გერმანიაში საუკეთესო მომღერლად დაასახელეს



ოპერის მომღერალი, ბარიტონი ნიკოლოზ ლაგვილავა გერმანულმა კრიტიკოსებმა საუკეთესო მომღერლად დაასახელეს.

წლის საუკეთესო სპექტაკლად გერმანიის ქალაქ ესენის საოპერო თეატრში კრიტიკოსების მიერ დასახელდა სპექტაკლი „ოტელო“, საუკეთესო რეჟისორად – რონალდ შვაბი, საუკეთესო მომღერლად კი – ნიკოლოზ ლაგვილავა „ოტელოში“ შესრულებული იაგოს როლისთვის.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ასტროპროგნოზი



### 21 სექტემბრისთვის

**ვერძი** – ფინანსური მდგომარეობა არასახარბიელოა. პროფესიონალურთან ერთად, ჯანმრთელობის პრობლემებიც გექმნებათ. მეგობრებს მეტი ყურადღება დაუთმეთ. **კურო** – საკმაოდ კეთილისმყოფელი და დასამახსოვრებელი დღეა. გაგიმახვილდებათ ინტუიცია. ნავაჭრი იღბლიანი იქნება. **ტყუპები** – დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და საკუთარ თავს დღესასწაული მოუწყვეთ. სასიყვარულო ურთიერთობებში გიმართლებთ. **კირჩხიბი** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. გაგიმახვილდებათ ინტუიცია. საჭირო დროს საუკეთესო გადაწყვეტილებას მიიღებთ. ნუ იქნებით იმპულსური. **ლომი** – ენერგეტიკული პოტენციალის შესუსტებას გრძნობთ. თუ მეტისმეტად მგრძნობიარე ხართ, მაშინ შესაძლოა დეპრესიამ შემოგიტიოთ. **ქალწული** – კრიტიკული და მოულოდნელობებით აღსავსე დღეა. პრობლემები არასტანდარტული გზით უნდა გადაჭრათ. **სასწორი** – მშვიდად იყავით. დათრგუნეთ პატივმოყვარეობა და სიამაყე. უფროსი ასაკის ადამიანების რჩევები გაითვალისწინეთ. **ღრიანკალი** – პლანეტები გირჩევენ, კრიტიკულად შეაფასოთ თქვენი ურთიერთობა პარტნიორებთან. შესაძლოა მიმნდობლობამ და მიამიტობამ ამ შემთხვევაში ცუდი სამსახური გაგიწიოთ და მომავალში პრობლემები შეგიქმნათ. **მშვილდოსანი** – გიძლიერდებათ ინტერესი მისტიკის, ფილოსოფიის, კლასიკური ლიტერატურისადმი. იყავით ინიციატივიანი და მიზანს უთუოდ მიაღწევთ. **თხის რქა** – სამოგზაუროდ წასვლა სხვა დროისათვის გადადეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ემოციებს ნუ აჰყვებით. **მერწყული** – იყავით ოპტიმისტი, ოღონდ ზომიერების გრძნობას ნუ დაკარგავთ. რეალობას თვალი გაუსწორეთ. **თევზები** – დღეს შემოქმედებით დაკავდით. შესაძლოა თქვენი ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვალოს. დახმარებას ნუ ელით ნათესავებისა და მეგობრებისგან.

### 22 სექტემბრისთვის

**ვერძი** – დღეს მთელ დროს პირადი პრობლემების მოგვარებას მოანდომებთ. მოსალოდნელი ცვლილებები სასიკეთო იქნება. ბედს მიენდეთ. **კურო** – ნებისმიერ სიტუაციაში სიფრთხილე და წინდახედულობა გამოიჩინეთ. ინტუიციას ნუ მიენდობით. **ტყუპები** – კეთილისმყოფელი დღეა. საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობა წარმატებას მოგიტანთ. აქტიურად დაისვენეთ ახლობლების გარემოცვაში. **კირჩხიბი** – გელით რომანტიკული შეხვედრა. ნებისმიერი აქტივობა ნაყოფიერ შედეგს გამოიღებს. წარმატება თავბრუს ნუ დაგახვევთ. **ლომი** – თქვენი ცნობისმოყვარეობა და სიახლისადმი ინტერესი გარშემომყოფებმა შესაძლოა უტაქტობად აღიქვან. უსიამოვნო ინფორმაცია ხასიათს გაგიფუჭებთ. **ქალწული** – დაისვენეთ აქტიურად. მოულოდნელი ნაცნობობა სასიკეთო იქნება. გულის კარნახით იმოქმედეთ. **სასწორი** – გიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. კარგი იქნება, თუ გახვალთ ქალაქგარეთ, წაიმუშავებთ ბაღში ან ბოსტანში. **ღრიანკალი** – შემოქმედებითად დატვირთული დღეა. მოქმედებები და გრძნობები დაბალანსებული გაქვთ. ოცნება მალე აგიხდებათ. **მშვილდოსანი** – წარმატებას იმ შემთხვევაში მიაღწევთ, თუ დღეს წინასწარვე დაგეგმავთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. ემოციები მოთოკეთ. ფანტაზიას ფართო გასაქანს ნუ მისცემთ. **თხის რქა** – ნურაფერს დაგეგმავთ. ახალი საქმის დასაწყებად შეუფერებელი პერიოდია. ფინანსური პრობლემები ვალის გარეშე, საკუთარი ძალებით მოაგვარეთ. **მერწყული** – რჩევისათვის მიმართეთ ადამიანს, რომელიც გმფარველობთ. ბედს თამამად მიენდეთ. მოინახულეთ დიდი ხნის უნახავი მეგობრები. მალე სასიკეთო ცვლილებები გელით. **თევზები** – ემოციები აკონტროლეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ოჯახის წევრებთან ურთიერთობა ჰარმონიულია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

მოსამართლე სპეცრაზმის წევრს ეკითხება:

– თუ შეიძლება, გვითხარით, რას სდებთ ბრალად ამ გოგონას?

– ბატონო მოსამართლევ, ამ გოგონამ მრისხანე მზერა მესროლა და მიწაზე დავეცი...

●●●

კაცი ქალს ეუბნება:

– იცი, რომ სიცილი ქალის საწოლში შეტყუების მეორე საუკეთესო საშუალებაა.

– და პირველი რომელია?

– დიდი დანა.

– ვაიმე, როგორ გამაცინე...

– გონივრული არჩევანია!

●●●

ორი ქალი მატარებლით მგზავრობს. ერთი მეორეს შესჩივის:

– ეს ცხოვრება კი არა, საშინელი მოწყენილობაა.

– შენც ადექი და საყვარელი გაიჩინე 500 დოლარად თვეში.

– მასეთს სად ვიპოვი?

– მაშინ ორი გაიჩინე, თითო 250 დოლარად.

– ეგეც პრობლემაა.

– მაშინ ოთხი თითო 125 დოლარად!

ამ დროს ზედა საწოლზე მწოლიარე მამაკაცმა გადმოსძახა:

– ხუთ დოლარზე რომ ჩამოხვალთ, გამაღვიძეთ!

●●●

ცოლ-ქმარი ლოგინში წევს. ქმარმა ცოლს ხელი მკერდზე დაადო და ეუბნება:

– მიწასავით თბილი ხარ.

– თუ ამ მიწას არ დაამუშავებ, იჯარით გავაქირავებ!

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– როგორი უკულტურო ხარ, დედაჩემი რამდენჯერ ჩამოვიდა ჩვენთან, შენ კი ერთხელაც არ წაიყვანე სასეირნოდ.

– რა აზრი აქვს? სახლის გზას მაინც პოულობს!

●●●

მამაკაცი ლიფტში შევიდა და შემთხვევით იდაყვით ქალის მკერდს შეეხო.

– მაპატიეთ, მაგრამ, თუ გულიც ასეთი რბილი გაქვთ, როგორც მკერდი, შეუდარებელი ყოფილხართ.

– მადლობა! თქვენ კი თუ სხვა რამეც ისეთი მკვრივი გაქვთ, როგორც იდაყვი, მაშინ მე 31-ე ბინაში ვცხოვრობ!

●●●

რუსს ეკითხებიან:

– მართალია, რომ თქვენთან დათვებს პირდაპირ გზაზე შეხვდებით?

– ტყუილია, სად გვაქვს გზები...

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## მოურინიოს რეალში დაბრუნება სურს



მადრიდის რეალმა სეზონი საკმაოდ არადამაჯერებლად დაიწყო და უკვე არის საუბრები იმის შესახებ, რომ ზიდანი შესაძლოა თანამდებობიდან გაათავისუფლონ.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჟოზე მოურინიოს ძალიან უნდა რეალში დაბრუნება და ის ფლორენტინო პერესის ზარს ელოდება.

მოურინიო რეალის სათავეში 2010-13 წლებში იმყოფებოდა და მან მხოლოდ ერთხელ შეძლო ესპანეთის ჩემპიონატის მოგება, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში წარმატებას ვერ მიაღწია.

გარდა ამისა, მას რეალის რამდენიმე ლიდერთან კონფლიქტი მოუვიდა.

## ჰარი კეინი: „ორბურთიანი უპირატესობის განიავება მიუღებელია“



ტოტენჰემის ფორვარდმა ჰარი კეინმა ოლიმპიაკოსთან შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ მისი გუნდისთვის ორბურთიანი უპირატესობის განიავება მიუღებელია.

ტოტენჰემი შეხვედრას 2:0 იგებდა, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ ფრეს დასჯერდა და, კეინის აზრით, ეს ცუდი შედეგია:

– პირველ ტაიმში უპირატესობა მოვიპოვეთ, რის შემდეგაც მოვდუნდით და მეტოქემ დაგვსაჯა. ჩვენ უკვე საკმაოდ გამოცდილი გუნდი ვართ და ასეთი შედეგი უბრალოდ არ გვეკადრება. იმედი მაქვს, რომ სათანადო დასკვნებს გავაკეთებთ და ეს აღარ განმეორდება.

## მანჩესტერ იუნაიტედს ისევ ტრავმების პრობლემა აქვს

მანჩესტერ იუნაიტედს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი ისევ ტრავმირებული ჰყავს და პრემიერლიგის შემდეგ მატჩში ისინი გუნდს ვერ დაეხმარებიან.

პირველ რიგში ეს პოლ პოგბას და ენტონი მარსიალს ეხებათ, რომლებმაც რამდენიმე კვირის წინ მიიღეს ტრავმა და კვლავინდებურად ვერ ეხმარებიან გუნდს.

ევროპის ლიგის პირველ შეხვედრაში მანჩესტერ იუნაიტედმა საკუთარ მოედანზე ასტანა დაამარცხა 1:0 და ამ შეხვედრაში გუნდს ბევრი ფეხბურთელი აკლდა.

საბოლოოდ თავი 17 წლის გრინვუდმა გამოიჩინა, რომელმაც გამარჯვების გოლი გაიტანა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## სერიალი „მაკმაფია“ მერაბ ნინიძის მონაწილეობით ემის ნომინანტია



ქართველი მსახიობის მერაბ ნინიძის მონაწილეობით ბიბისის მიერ გადაღებული სერიალი „მაკმაფია“ „ემის“ ნომინაციაში მოხვდა და საუკეთესო სერიალის ტიტულისთვის ბრაზილიურ და გერმანულ სერიალებთან ერთად იბრძვის.

სერიალში მერაბ ნინიძე ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს. სერიალი გასულ წელს გამოვიდა და რუსების გაღიზიანებაც გამოიწვია. „მაკმაფია“ რუსი ემიგრანტების ვაჟის ალექს გუდმანის ცხოვრებაზეა გადაღებული. ის ცდილობს გამოვიდეს მაფიოზური ოჯახის ჩრდილიდან, ააწყოს პირადი ბიზნესი და შექმნას ოჯახი საყვარელ რებეკასთან. სამწუხაროდ, ალექსის წარსული ცხოვრება თავს არ ანებებს და ისიც იძულებულია, დაუბრუნდეს დანაშაულებრივ სამყაროს, რათა დაიცვას მისთვის ყველაზე ლამაზი საყვარელი ადამიანები.

ემის დაჯილდოება 25 ნოემბერს გაიმართება.

## მოკლულ რეჟისორს დაჩი დარჩიას მომღერალმა ლიკა შუბითიძემ კლიპი მიუძღვნა



34 წლის რეჟისორსა და დიჯეის დაჩი დარჩიას, რომელიც ავლაბარში ერევნის სკვერში მოკლეს, მისმა მეგობარმა და მომღერალმა ლიკა შუბითიძემ კლიპი მიუძღვნა.

სწორედ დაჩი დარჩიას გადაღებულია ლიკას კლიპების უმრავლესობა. ამჯერად ლიკამ დაჩის დასთან გედა დარჩიასთან იმუშავა, რომელიც ფოტოხელოვანია. ვიდეო რგოლი ლიკამ ინტერნეტში უკვე გაავრცელა და ბევრი კომპლიმენტებიც დაიმსახურა.

## მუსიკალური ფესტივალი თელავში კოლია ბლახერის კონცერტით გაიხსნება




21 სექტემბერს თელავის თეატრში ელისო ვირსალაძის მიერ დაარსებული მუსიკალური ფესტივალი აიღებს სტარტს.

მუსიკის საერთაშორისო ფესტივალს თელავში გამოჩენილი გერმანელი მევიოლინე და თელავის ფესტივალის დიდი მეგობარი კოლია ბლახერი გახსნის.

კონცერტზე დაუკრავს საფესტივალო ორკესტრი არიელ ცუკერმანის დირიჟორობით. საღამოზე შესრულდება ბრიტენის კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის თხზულება 15 და ეს იქნება ამ ნაწარმოების პრემიერა საქართველოში.

მუსიკალური ფესტივალი თელავში 29 სექტემბრამდე გაგრძელდება და მსოფლიოში ცნობილ ქართველ და უცხოელ ხელოვანებს უმასპინძლებს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. მოძღვრება ხეხილის ჯიშების შესახებ; 2. საცხოვრებელი მასივი თბილისში; 3. წყლით სამკურნალო აბაზანა; 4. ქალაქის დამცავი ციხე-სიმაგრე გერმანიაში; 5. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი; 11. მონასტერი ხულოს რაიონში; 12. აეროპორტი ტოკიოში; 14. ემილ ზოლას რომანი; 16. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 17. მუსლიმანთა რელიგიური დღესასწაული; 19. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 21. ბალნეოლოგიური კურორტი ლენტეხის რაიონში; 22. ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილი.

**თარაზულად:** 6. ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი; 7. ამერიკული კოსმეტიკური ფირმა; 8. შაქრიანი ცხელი წყლით შეზავებული რომი ან ვისკი; 9. ქართული კინოვარსკვლავი ქალი; 10. გერმანელი მწერალი ქალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 13. ხელოვნური წყალსაცავი მცხეთა-მთიანეთში; 15. მსოფლიოში ყველაზე დიდი კუნძული; 18. საქართველოს კალათბურთელთა გუნდი; 20. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონას“-ს ფეხბურთელი; 21. ფულის ერთეული აზერბაიჯანში; 23. კერძო დეტექტივების მეტსახელი აშშ-ში; 24. თემის, გვარის წინამძღოლი სვანეთში.




*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*